# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 15 თებერვალი 2008 №033 (3257) ფასი 50 თეთრი

## კითხვა უპასუხოდ დარჩა და მაინც
# ზესტაფონი საქართველოს ახალ პროექტში დაუბრუნდება
## ჰა, ბურთი და ჰა, ტელევიზორი

„ზესტაფონი“ საქართველოს ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს!

ეს ამბავი საბოლოოდ მოგვარდა — გუშინ გამართულ კლუბის ადმინისტრაციის სხდომაზე ყველა საჭირბოროტო საკითხზე ისაუბრეს და გადაწყვეტილებაც მიიღეს. საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა“ შესაბამისი შინაარსის წერილი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში გუშინვე გააგზავნა, რითაც დაადასტურა კიდეც თამაშის სურვილი.

ერთი-ორი დღის ჩაგდების შემდეგ კი „ზესტაფონი“ უკვე შეიკრიბა და მზადება ძველი რეჟიმით განაახლა. უახლოესი შეხვედრა ზესტაფონელებს რუსთავში, ჩემპიონ „ოლიმპთან“ ელით და ეს მატჩი წმინდა სპორტულის გარდა სხვა მხრივაც საინტერესო იქნება. სწორედ „ოლიმპი“ — „ზესტაფონი“ იქნება პირველი თამაში, რომელსაც მედია-კომპანია „კოლხიდა“ გადაიღებს და მის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერი დაეთმობა.

შეგახსენებთ, პროფლიგამ ჩემპიონატისა და თასის მატჩების ტელე-უფლებები სწორედ „კოლხიდას“ მიჰყიდა და ეს კომპანიაც საქმეს 17 თებერვლის მატჩით დაიწყებს.

დაგვეთანხმებით, კარგი ამბებია...

კობა ინასარიძე



# ლევან მჭედლიძე იღბალთან დამარცხდა
## ქართულ იმედს ბზარი ემუქრება



საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიური „ემპოლის“ თავდამსხმელ ლევან მჭედლიძის ტრავმა მძიმე გამოდგა — გუშინწინ, „კოპა კარნევალეს“ ფინალში დაშავებული 17 წლის ქართველი ფეხბურთელი სასწრაფოდ გაიყვანეს მოედნიდან და, როგორც ჩანს, სერიოზული მკურნალობა მოუწევს.
ღმერთმა არ ქნას, ასე მოხდეს, თუმცა ფაქტია — ლევანს სიარული ჯერ არ შეუძლია და გუშინ, ლამის მთელი დღე ექიმებთან გაატარა.
120-ე წუთი იყო, უნიჭიერესი ქართველი ფეხბურთელი მეტოქეს დაუსხლტა და მეკარესთან პირისპირ გავიდა. ის იყო, ლევანს გოლი უნდა გაეტანა, უკნიდან საშინლად რომ ჩაარტყეს.
„ქართველი ვუნდერკინდი მოედანზე წევს და წამოდგომას ვერ ახერხებს“ — წერდნენ გუშინ იტალიელი ჟურნალისტები.
ლევანს შუადღით შევეხმიანეთ და, ცხადია, ჯანმრთელობის ამბავი გამოვკითხეთ...




# ბოლო წუთზე, პირისპირ... ვარაუდით, ბზარია

— ახლა ექიმებთან ვარ. მუხლის ქვეშ საშინელ ტკივილს ვგრძნობ, სიარულიც მიჭირს. ჯერ არ ვიცი, რა პასუხს მეტყვიან და წინასწარ ვერაფერს გეუბნები.

**— ლატვიასთან ამხანაგურ მატჩში რომ დაიშავე, ის ფეხია?**

— არა. ლატვიასთან მიღებული ტრავმა სერიოზული არც იყო. უბრალოდ, ნაოპერაციებ ადგილზე მომხვდა და დასვენება აუცილებელი იყო. სამ დღეში ვარჯიშიც განვაახლე და თავსაც კარგად ვგრძნობდი. მწვრთნელსაც თავად ვთხოვე, იქნებ სარეზერვო გუნდში ვითამაშო-თქო და ისიც დამთანხმდა. თან ფინალი იყო და მოგებაზე სერიოზულად ვფიქრობდით...

**— როგორ დაგამტვრია „ინტერის“ მცველმა?**

— მეკარესთან პირისპირ ვიყავი, წამიც და, გოლი უნდა შემეგდო მაგრამ... უკნიდან ისეთი ძალით ჩამარტყეს, რომ ტკივილმა კინაღამ გამთიშა. მოედნიდან გამიყვანეს და თამაშიც დამთავრდა. მერე პენალტებში წავაგეთ...

**— მოკლედ, ახლა ექიმების პასუხს ელი...**

— ასეა და სჯობს, ცოტა გვიან დამირეკოთ. მერე უფრო მეტის თქმა შემეძლება...

*ამის შემდეგ ლევანს რამდენიმე საათი ტელეფონი გამორთული ჰქონდა და ჩვენც ახალი ამბების გასაგებად მამამისს, ვეტერან ფეხბურთელ კარლო მჭედლიძეს შევეხმიანეთ...*

— ჯერჯერობით ახალი არაფერია. ლევანი ახლაც ექიმთანაა და ტელეფონიც ამიტომ აქვს გამორთული.

**— ანუ დიაგნოზი ჯერ უცნობია...**

— ასეა. არადა, თამაშს ტელევიზორში ვუყურე და კინაღამ გავგიჟდი. ლევანმა მცველი ჩამოიშორა, პირისპირ დარჩა და უკნიდან მოცელეს. თანაგუნდელებმაც კი ერთი ამბავი აუტეხეს იმ მცველს...

*ეს იყო და, რამდენიმე წუთში ლევანმაც ჩართო ტელეფონი...*

— სურათი გადამიღეს და პასუხი ხვალ იქნებაო. „ემპოლის“ ექიმები ვარაუდობენ, რომ ძვალია გაბზარული, თუმცა ჯერ ზუსტად ვერაფერს ამბობენ. მოკლედ, ხვალინდელ დღეს უნდა დაველოდოთ. ექიმები კიდევ ერთხელ გამსინჯავენ და დიაგნოზსაც იტყვიან.

**ქახა ზალამბერიძე**

# სირაძის ნალჩიკი თითქმის გადაწყვეტილია

**დავით სირაძეს** ნალჩიკის „სპარტაკში“ გადასვლამდე ცოტაღა აკლია — „პადერბორნის“ თავდამსხმელი ესპანეთშია, ყაბარდოულ კლუბს შეკრებაზე ახლავს და გუშინ დონეცკის „შახტართანაც“ ითამაშა „ლა მანგას თასის“ მატჩში — 41-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე.

„სპარტაკს“ ყოველგვარი გასინჯვის გარეშე სურს კონტრაქტის გაფორმება და, სავარაუდოდ, „პადერბორნი“ ხელს არ შეუშლის. არ არის გამორიცხული, დავითი ზაფხულამდე დარჩეს რუსეთში, თუმც როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა, უფრო დიდი ხნითაც — საქმე ისაა, რომ რუსეთის წამყვანი გუნდები არიან დაინტერესებულნი სირაძით, მაგრამ მის პირდაპირ აყვანას ვერ რისკავენ და სურთ, რომ ნალჩიკში დააკვირდნენ ქართველს.

ეგეც არ იყოს, „პადერბორნი“ თუ მეორე ბუნდესლიგიდან გავარდება (და ძნელი წარმოსადგენია, ასე არ მოხდეს), დათოსთან კონტრაქტი ავტომატურად წყდება.

რაც შეეხება „შახტართან“ მატჩს: ნალჩიკელთა კიდევ ორი ქართველი, ალექსანდრე ამისულაშვილი და გოგიტა გოგუა ძირითად შემადგენლობაში იყვნენ.

მატჩი კი „ნალჩიკმა“ 1:2 წააგო.




**ილია ნანოზაშვილი**

# ონიანი ვარჯიშობს და კიოლნს ელის



**დღეს** იენის „კარლ ცაისი“ „კიოლნს“ მასპინძლობს და ჰაერივით სჭირდება სამი ქულა, რათა მეორე ბუნდესლიგაში დარჩენის მცირე შანსი მაინც დაიტოვოს. მართალია, ჯერ ფინიშამდე ადრეა, მაგრამ გერმანელი მიმომხილველები იენელებს გავარდნის მთავარ კანდიდატებად თვლიან — სხვა აუტსაიდერ გუნდებს მცირე პროგრესი ეტყობათ, „კარლ ცაისს“ კი მსგავსი არაფერიო.

ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ გიორგი ონიანი ჯანზეა, გუნდთან ერთად დაიწყო ვარჯიში და, შესაძლოა, „კიოლთან“ ითამაშოს კიდეც.

ისე, საწყენი კია, ვერც ილია კანდელაკს, ვერც გიორგი სეთურიძესა და ვერც ონიანს „კარლ ცაისში“ კარგად ვერ წაუვიდათ საქმე, ძირითადში, მყარად ვერ დაიმკვიდრეს ადგილი.

**ილია ნანოზაშვილი**

# კვირკველია ზაპოროჟიეს წაჰყვა, მაგრამ წამოჰყვება?



**დავით კვირკველია** ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ ესპანურ შეკრებაზე გაჰყვა, მაგრამ გადაწყვეტით ვერ ვიტყვით, რომ ამ გუნდში დარჩება. მართალია, დათოს დონეცკის „მეტალურგში“ გადასვლის შანსი თითქმის გამოირიცხა, მაგრამ სხვა ვარიანტები გაჩნდა.

როგორც შევიტყვეთ, აგენტები კვირკველიას მოსვენებას არ აძლევენ და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ოფისის ტელეფონი ზარებით აუკლიათ, ერთ-ერთი დაინტერესებული კლუბი კი ყაზანის „რუბინია“.

**ილია ნანოზაშვილი**

# ბოლქვაძემ უკვე გააფორმა

**აზერბაიჯანში** დაბრუნებულმა ზაქათალის „სიმურგმა“ კონტრაქტი გააფორმა დავით ბოლქვაძესთან, ვინც „ამერმა“ სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა.

დავით ბოლქვაძე „სიმურგს“ თბილისშივე შეუერთდა და სამ ამხანაგურ მატჩში უკვე ორი გოლი გაიტანა.

მის გარდა „სიმურგმა“ მეკარე ანდრეი ნიკიტინი, მცველი ნიკოლაი ლაპკო და თავდამსხმელი რუსლან კაჩური გადაიბირა.

**ქახა ზალამბერიძე**

# ყარაბახმა ჩომახიძე იუარა

**აგდამის** „ყარაბახმა“ ქართველი ნახევარმცველის, შოთა ჩომახიძის აყვანა აღარ ისურვა.

საჩხერის „ჩიხურადან“ აზერბაიჯანში წასული შემტევი ნახევარმცველი რამდენიმე დღე ემზადებოდა „ყარაბახთან“ ერთად, თუმცა მწვრთნელებს თავი ვერ მოაწონა და გუნდსაც დაშორდა.

შეგახსენებთ: ჩომახიძეს ადრე უკრაინასა და სომხეთში უთამაშია...

**ქახა ზალამბერიძე**

# ქართველები დაჩიამ გვიან გამოაჩინა

**კიშინიოვის** „დაჩიასთან“ ერთად თურქეთში შეკრებაზე მყოფმა ლევან კორღალიძემ და ჯაბა დვალმა მორიგი ამხანაგური მატჩი უკრაინის პირველლიგელ ჩერკასის „დნიპროსთან“.

მოლდოველებმა 2:1 მოიგეს.

წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად ქართველები ძირითად შემადგენლობაში არ იყვნენ და მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ.

კორღალიძე „დაჩიაში“ გასინჯვაზეა, დვალი კი ამ გუნდში შარშან გადავიდა.

**ქახა ზალამბერიძე**

# ბრესტის ზავი

**ბრესტის** „დინამოსთან“ ერთად თურქულ შეკრებაზე მყოფმა რომან გოგინაშვილმა და გია თოდუამ მორიგი ამხანაგური თამაში რუმინეთის მეორედივიზიონელ „სპორტულთან“ გამართეს და 2:2 ითამაშეს.

ქართველი ფეხბურთელები მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდნენ, თუმცა გოლი არ გაუტანიათ.

მომდევნო ტესტ-მატჩს ბრესტელები ლატვიურ „დაუგავასთან“ გამართავენ.

**ქახა ზალამბერიძე**

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, კლუბის პრეზიდენტის და მფლობელის, ცნობილი ბიზნესმენის და ქველმოქმედის
**ბადრი პატარკაციშვილის**
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

## ინგლისი

კონფერენსლიგა. XXXII ტური

ძროული 1:2 ებსფლიტი

## ამხანაგური მატჩები

ნორდსიელანდი 1:1(დ.დ.(5:43) ლილესტრიომი

შახტარი 2:1 ნალჩიკი

## უეფას თასი 2007-2008

1/16 ფინალი. I მატჩები. წუხელ

აბერდინი (შოტლანდია) 2:2 ბაიერნი (გერმანია)
ციურიხი (შვეიცარია) 1:3 ჰამბურგი (გერმანია)
რუსენბორგი (ნორვეგია) 0:1 ფიორენტინა (იტალია)
ბოლტონი (ინგლისი) 1:0 ატლეტიკო (ესპანეთი)
სლავია (ჩეხეთი) 1:2 ტოტენჰემი (ინგლისი)
ბენფიკა (პორტუგალია) 1:0 ნიურნბერგი (გერმანია)



რევაზ გეწაძე (№13) თასს უმიზნებს

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# უცხოეთში წასვლაზე მაისიდან ვიფიქრებ

## რევაზ გეწაძე: დავსუსტდით, მაგრამ უკეთ მოვემზადეთ

**საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ უკრაინაში შეკრება გაიარა და „თანამეგობრობის თასზეც“ ითამაშა. მერე ქვემოქართლელები ურეკშიც იყვნენ და უკვე სეზონის განახლებას ელიან — 17 თებერვალს დავით ყიფიანის თასის გათამაშებაში მათი მეტოქე „ზესტაფონია“ და შორს არც ჩემპიონატის განახლებაა, რომელშიც რუსთავულ გუნდს, წინა სეზონისგან განსხვავებით, საჩემპიონო ამბიცია ნაკლებად ექნება — სატურნირო ცხრილში ლიდერებს გვარიანად ჩამორჩება...**

**გუშინ „ოლიმპის“ ლიდერ რევაზ გეწაძეს შევეხმიანეთ და საშეორენწრეო მზადყოფნასა და გეგმებზე ვკითხეთ...**

— „ოლიმპი“ მეორე წრეს კარგად მომზადებული ხვდება. ორი შეკრება გავიარეთ და „თანამეგობრობის თასზეც“ ვითამაშეთ. ეს ძალიან წაგვადგა. გუნდი შეთამაშდა და უკეთესად არის მომზადებული.

— უკრაინელ ალექსანდრ ომელიანოვზე რას გვეტყვი, როგორი ფეხბურთელია და რამდენად კარგად შეეწყო გუნდს?

— კარგი ბიჭია, გუნდს ადვილად შეეგუა და სამ თამაშში ორი გოლიც გაიტანა. ურეკის შეკრებაზე ცოტა გვიან კი ჩამოვიდა, მაგრამ ერთი ლამაზი გოლი იქაც შეაგდო. ისედაც, ძალიან მეგობრული ადამიანია...

— 17 თებერვალს თასის მეოთხედფინალური მატჩი გელით „ზესტაფონთან“. როგორ ემზადებით და, საერთოდ, წლეულს „ოლიმპი“ რა მიზანს ისახავს?

— რუსთავში ვერ ვვარჯიშობთ, მოედანზე ტალახია. ალბათ, „ოლიმპის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე მოვემზადებით. გუნდიდან ბევრი ფეხბურთელი წავიდა და შემადგენლობის მხრივ, მგონი, უფრო დავსუსტდით, თუმც, ისიცაა, რომ ახლა უკეთესად მომზადებულები ვართ. აქცენტი უფრო თასზე გაკეთდება და გვინდა, ეს ჯილდო მოვიგოთ. ჩემპიონატში პირველობისთვის ბრძოლა გაგვიჭირდება და სამეულში მოხვედრაზე ვიფიქრებთ.

— გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა. შენ არ გქონდა შემოთავაზება?

— ისეთი რეალური წინადადებით არავის მოუმართავს, რომ წავსულიყავი. სხვაგვარად კი, რა აზრი აქვს?! რაღაც ყაზახური ვარიანტიც იყო, თუმცა გადაწყვეტილი მაქვს, მაისამდე აქ დავრჩე და საზღვარგარეთ წასვლაზე მერე ვიფიქრო. თუ ნორმალური ვარიანტი გამოჩნდა, წავალ. ისეთი გუნდი უნდა იყოს, რომ თამაშმა მომიწიოს.

— წლებია, საქართველოს ჩემპიონატში თამაშობ. როგორ ფიქრობ, სათამაშო დონემ მოიმატა თუ პირიქით?

— ჩემი აზრით, ჩემპიონატი უკან მიდის. გუნდებს ფინანსური კრიზისი აქვთ და ფეხბურთელები მხოლოდ უცხოეთში წასვლაზე ფიქრობენ, იმიტომ, რომ აქაური პირობები სხვა ქვეყნებთან შედარებით ახლოსაც ვერ მოდის. მოედნები ცუდია, ინფრასტრუქტურა არ ვარგა და ფეხბურთელებსაც ინტერესი აღარ აქვთ. მგონია, რომ კიდევ უფრო დაბალი დონის ჩემპიონატი იქნება.

**ლევან მაისურაძე**

# არც ლომაია, არც სტურუა

## ბათუმმა შენგელია აიყვანა

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე მცირე დრო რჩება და გუნდებში ფეხბურთელთა მიმოსვლა გახშირდა.

„ბათუმი“ მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს ნაკრების კანდიდატ მეკარეებთან — გიორგი ლომაიასთან და ზვიად სტურუასთან. თუმც, როგორც გუშინ ბათუმელთა მწვრთნელმა ავთანდილ კუნჭულიამ გვითხრა, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ზღვისპირელებმა ცხინვალის „სპარტაკის“ ყოფილი მეკარე გიზო შენგელია დაიყოლიეს, რომელიც პირველ წრეში ფოთის „კოლხეთის“ კარს იცავდა.

**ნუკრი ლოლაძე**

# ამერმა მემარნიშვილი შეიმატა

**„ამერში“** მატებაა — მცველი გიორგი მემარნიშვილი სეზონის ბოლომდე ითამაშებს გიორგი ჩიხრაძის გუნდში, მერე კი მხარეები ერთხელაც დაილაპარაკებენ და თუ შეთანხმდებიან, კონტრაქტსაც გააგრძელებენ.

მემარნიშვილმა ჩემპიონატი „ბორჯომში“ დაიწყო და პირველი წრეც იქ ჩაამთავრა, მერე კი ახალციხის „მესხეთში“ აპირებდა გადაბარგებას, თუმცა ამ ვარიანტს „ამერი“ ამჯობინა.

შეგახსენებთ: თავის დროზე, მემარნიშვილს საჩხერის „ჩიხურაში“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და ზესტაფონის „მეტალურგშიც“ უთამაშია.

**კახა შალამბერიძე**



გიორგი მემარნიშვილი და გიორგი დავითნიძე თანაგუნდელები გახდნენ

# ვიტ ჯორჯია: ისევ ფრე ბელარუსებთან

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ“ ბელარუსის უმაღლესლიგელ ნემანის „გროდნოსთან“ 1:1 ითამაშა. ნესტორ მუმლაძის გუნდი მე-3 წუთზე ზაზა სახოკიამ დააწინაურა ძლიერი დარტყმით, 57-ე წუთზე კი ბელარუსებმა პენალტით გაათანაბრეს.

როგორც მუმლაძის თანაშემწე ზურაბ ბერიძემ გვითხრა, ჩვენები პირველ ტაიმში სოლიდურ უპირატესობას ფლობდნენ, შესვენების შემდეგ კი თამაში გათანაბრდა. „მწვანეებს“ სამი ურეალურესი საგოლე მომენტი გაუნიავებიათ, თუმც მატჩის ბოლოს „ნემანსაც“ ჰქონია მოგების შანსი.

მომდევნო მატჩს „ვიტ ჯორჯია“ ხვალ, ყაზახეთის უმაღლესლიგელ „ორდაბასთან“ გამართავს. „ნემანთან“ კი მუმლაძემ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ბედიაშვილი (ლურბელეიშვილი 76), ბეჭვაია (პირველი 51), ა. კვახაძე, დ. ლომაია (ყველაშვილი 68), ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (ჯანელიძე 52), ცხადაძე (ბერიაშვილი 46), სახოკია (ლიპარტია 60).*

**ილია ნანობაშვილი**

# ვირუსიან დილას მერანი დაემატა

**გუშინ** გორის „დილა“ ქობულეთში თბილისის „მერანს“ გაეჯიბრა და ზღვისპირული შეკრებაც ამით დაასრულა. მატჩი უგოლოდ მიილია — 0:0.

რამდენიმე გორელ ფეხბურთელს ვირუსი შეეყარა და მატჩი რომ შემდგარიყო, მერანელები დაემატნენ.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*__დილა:__ კეჩხუაშვილი, გვეტაძე, ბალიაშვილი, ბალაშვილი, შატაკიშვილი, ლომიძე, არაყიშვილი, ჭიკაიძე, კუხილავა, გ. მიქაძე, გ. წინამძღვრიშვილი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: იჩქითი, იმნაძე, ნაკაშიძე.*

*__მერანი:__ თევდორაძე, გ. ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, კობერიძე, ქოქიაშვილი, ბ. ჟღენტი, ბაკურაძე, ი. შენგელია.*

გუშინვე „მერანის“ სხვა შემადგენლობა პირველლიგელ ფოთის „კოლხეთს“ შეხვდა და 2:1 დაამარცხა.

თბილისელები 25-ე წუთზე მიხეილ ჟღენტის პენალტით დაწინაურდნენ. მეგრელებმა პირველივე ტაიმში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, თუმცა იაკობ დეისაძემ ისევ წინ გაიყვანა „მერანი“ და მატჩიც ასე მორჩა.

დავით ეჯიბიშვილმა ეს თერთმეტეული ათამაშა: *სეფიაშვილი, გ. თავბერიძე, ქავთარაძე, ა. კალაძე, ქემაშვილი, ბესარაშვილი, იაგო დეისაძე. მ. ჟღენტი, კაკულია, იაკობ დეისაძე, ოდიშვილი.*

16 თებერვალს „მერანი“ ჩაქვში „სიონს“ შეხვდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# სიონმა ბათუმის დუბლებთან ივარჯიშა



კახა ჩხეტიანი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**ზღვისპირეთში** მყოფმა ბოლნისის „სიონმა“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და „ბათუმი 2“ 5:0 გაანადგურა.

მეტოქის რბევა დავით სვანიძემ დაიწყო, მერე ახალ კლუბში პირველი გოლი გაიტანა კახა ჩხეტიანმა, მესამე კი გიორგი კვიტაიშვილმა შეაგდო. შემდეგ შეცვლაზე შესულებმა, ქარდავამ და ალფაიძემაც იხეირეს.

მცირე ტრავმა აქვს ერიკ რომეო ჩასემს და მას არ უთამაშია.

„სიონის“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, გ. ოქროპირიძე, ფრიდოლინი, სვანიძე, კვიტაიშვილი, კ. ჩხეტიანი, კობაური, ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი, შავგულიძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ალფაიძე, ქარდავა, უბულავა, ნაყოფია, მიქელაძე, გაბრიჭიძე.*

„სიონი“ 16 თებერვალს „მერანს“ შეხვდება, 18-ში კი — „ბათუმს“.

და ერთიც: როგორც შევიტყვეთ, „სიონი“ თემურ რაქვიაშვილმა დატოვა. ის სეზონს ახალციხის „მესხეთში“ ჩაამთავრებს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ვაჰ, სად ვართ ქართველები!

## მოდით, ვიყოთ თავაზიანები

**უეფა**, რა ხანია, გვეუბნება: იყავით თავაზიანები, დაიცავით ფეირ პლეის პრინციპები და მიიღეთ საჩუქრად დამატებითი ადგილი უეფას თასის გათამაშებაშიო...

მოგეხსენებათ, უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე სამი ადგილი ფეირ პლეის გამარჯვებულთათვის არის დაჯავშნული. ფეირ პლეის რეიტინგში საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ქვეყანა გათამაშებაში დამატებით ადგილს ავტომატურად იღებს, ხოლო იმ ქვეყნებს შორის, რომელთა კოეფიციენტი 8,0-ზე მეტია, ჩვეულებრივი კენჭისყრა ტარდება კიდევ ორი ადგილის შესავსებად.

ერთი სიტყვით, ფეხბურთში შეიძლება, არ ვარგოდე, მაგრამ სანიმუშო ყოფაქცევის წყალობით მეტი გუნდი გაიყვანო უეფას თასზე.

რა იგულისხმება სანიმუშო ყოფაქცევაში: მეტოქისა და მსაჯების პატივისცემა; გულშემატკივართა და ოფიციალურ პირთა ქცევა; ყვითელი და წითელი ბარათების რაოდენობა. ამ კრიტერიუმების მიხედვით გამოიყვანება კლუბების და ნაკრებების (ყველა ასაკობრივი ნაკრების) საერთაშორისო მატჩების ფეირ პლეის კოეფიციენტი.

ერთი აუცილებელი პირობაც: ქვეყანას მოცემულ პერიოდში (1 მაისიდან 30 აპრილამდე), სულ ცოტა, 28 საერთაშორისო მატჩი უნდა ჰქონდეს ჩატარებული.

გუშინ უეფამ ფეირ პლეის მიმდინარე რეიტინგი გამოაქვეყნა (2007 წლის 1 მაისიდან იმავე წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის).

53 ევროპული ქვეყნიდან სამს — ლიხტენშტაინს, სან მარინოს და ანდორას — 28-მატჩიანი ლიმიტი არ უგროვდებათ. გვრჩება 50 ქვეყანა, რომელთა კოეფიციენტები გაზაფხულზე დაითვლება და, როგორც თავშივე ვთქვით, საუკეთესოთა შორის უეფას თასის 3 საგზური გათამაშდება.

ბოლოს კი ვთქვათ ის, რისთვისაც ეს წერილი დაიწერა: 50 ქვეყანას შორის საქართველო რეიტინგში ბოლოსწინაა...

ჩვენ ქვევით მხოლოდ მაკედონიაა, რეიტინგს კი ინგლისი ლიდერობს.

**გიორგი დარჯანია**




# ახალი გაჩერება: ჩერნომორეცი

## ლოკომოტივმა ჭელიძე ნოვოროსიისკში გაუშვა

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“ — ეს იქნება გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის მორიგი გუნდი. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ 21 წლის ქართველი თავდამსხმელი ამ პირველდივიზიონელ კლუბში ერთი წლით გაანათხოვრა. დიდხანს ელოდა „პაჭელო“ ვითარების გარკვევას — „ზესტაფონთან“ იჯარა რომ დაუმთავრდა, მოსკოვში ჩავიდა, თუმცა იქ ყველაფერი ისე არ დახვდა, როგორც ელოდა და... მოკლედ, გიორგის გუშინ იმ დროს შევეხმიანეთ, აეროპორტში რომ მიიჩქაროდა — ახლა ის უკვე ნოვოროსიისკშია...

— ყველაფერი გადაწყდა: ერთი წლით ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ ვითამაშებ. ასე გადაწყვიტა „ლოკომოტივმა“ და მეც დავთანხმდი. რაც მთავარია, სათამაშო პრაქტიკა მექნება და მოსკოვშიც უფრო მომზადებული დავბრუნდები.

**— რატომ გაჯანჯლდა შენი საკითხი აქამდე?**

— თავიდანვე ცუდად აეწყო საქმე. მოსკოვში დაგვიანებით ჩამოვედი, რადგან რუსეთის ვიზის აღებაზე დიდი დრო დამეხარჯა. აქ რომ ჩამოვედი, ყველაფერი უცხო დამხვდა — ხელმძღვანელობაც, მწვრთნელებიც... მე კი ამ დროს ხელიც არ მქონდა მოწერილი საბუთზე, რომელიც „ზესტაფონიდან“ დაბრუნებას ადასტურებდა, ანუ, ფაქტობრივად, „ლოკომოტივის“ საერთო სიაში არ ვიყავი ჩაწერილი. ჰაერში გამოვეკიდე...

**— „ლოკომოტივის“ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვს არ შეხვედრიხარ?**

— კი, ვისაუბრეთ. მითხრა, ვიცი, ვინც ხარ, შენი თამაშიც მინახავს, მაგრამ რა გიყო, გვიან ჩამოხვედი და შეკრებაზე წასაყვანთა სიაშიც არ ხარო.

**— და სარეზერვო გუნდთან დაიწყე ვარჯიში...**

— სხვა გზა არ იყო, საბუთების გაფორმება დროს ითხოვდა და უვარჯიშებლად ხომ არ დავრჩებოდი?! მერე პრეზიდენტმა დმიტრი ბარანიკოვმა დამიბარა და მითხრა, იჯარით გაგიშვებთ სადმე, ეს შენთვისაც უკეთესი იქნებაო. მეც დავთანხმდი...

**— უკრაინაში წასვლა რატომ იუარე?**

— უარი არ მითქვამს, კლუბები ვერ შეთანხმდნენ. „ზარიას“ ისევ სურდა ჩემი წაყვანა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

**— ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან“ ყველაფერზე შეთანხმებული ხარ? შესაძლოა, რამე შეიცვალოს?**

— რა ვიცი, რაღა უნდა შეიცვალოს... ყველაფერზე მოვრიგდით და მეც უკვე გზაში ვარ. ტრანსფერი გადაწყვეტილია — ერთი წელი იქ ვითამაშებ.

**ბაჩა შალამბერიძე**

# უგუნდო მოდებაძე: ყუბანი ან ზარია

**ირაკლი მოდებაძე** ექვსი თვეა, უგუნდოდაა და უახლოეს ერთ კვირაში მონახავს ახალ ადგილს.

ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ყოფილი ფორვარდი რუსეთის „ამკარში“ იყო გასინჯვაზე, ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა და ერთი გოლიც გაიტანა, მაგრამ კონტრაქტი არ გამოვიდა.




„ჯერჯერობით უგუნდოდ ვარ, ისე კი, რაღაც ვარიანტები მაქვს“ — გვითხრა ირაკლიმ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.

ჩვენ კი შევიტყვეთ, რომ მოდებაძით რუსეთის პირველდივიზიონელი კრასნოდარის „ყუბანი“ და უკრაინული „ზარია“ არიან დაინტერესებულნი.

**ილია ნანობაშვილი**

# ჭედიამ ბელარუსისთვის გაიტანა

**19 წლის** თავდამსხმელი გიორგი ჭედია ბელარუსის უმაღლესლიგელ ჟოდინოს „ტორპედოში“ ისინჯება და ტესტ-მატჩში გოლიც გაიტანა — რუმინეთის მეორელიგელ „ლიბერცისთან“ 2:0 მოგებულ თამაშში მეორე გოლი შეაგდო.

ჭედია ორიოდ კვირის წინ ჟოდინოელებზე ძლიერ გუნდში, ლიტვურ „სუდუვაში“ იყო გასინჯვაზე, საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში კი ზუგდიდის „მგლებში“ გახლდათ და გოლებიც საკმაოდ გაიტანა.

**ილია ნანობაშვილი**

# დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი თვრამეტი წლისაა

## ქომაგთა ლიგამ რეზოლუცია გამოფინა

**გუშინ** ჭადრაკის სასახლეში ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის კონფერენცია გაიმართა. 400-კაციანი დარბაზი სანახევროდ თუ გაივსო, შეხვედრის დასრულებამდე კი ნახევარი იქაურობას გაეცალა.

კონფერენცია ქომაგთა ლიგის ხელმძღვანელმა ზურაბ პეტრიაშვილმა გახსნა. მან საზოგადოებას ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის 18-წლისთავი მიულოცა და მაშინდელი ამბებიც შეახსენა.

კინორეჟისორმა ალექსანდრე ჟღენტმაც განავრცო ეს თემა და 1990 წლის 15 თებერვალის მნიშვნელობაზე ისაუბრა.




ვეტერანი ფეხბურთელებისა და ქომაგთა გარდა კონფერენციას პოლიტიკოსებიც დაესწრნენ — ლევან ბერძენიშვილი სიტყვითაც გამოვიდა.

მოგვიანებით პეტრიაშვილი შეკრების ძირითად მიზეზსაც შეეხო: „ქართული ფეხბურთის მშენებლობა არასწორადაა დაწყებული. ჩვენს მეზობელ თურქეთში ინფრასტრუქტურის განვითარებით დაიწყეს საქმის კეთება, შემდეგ უცხოელი მწვრთნელები ჩაიყვანეს, ბავშვთა ფეხბურთს მიხედეს, ჩემპიონატის განვითარებაში დიდი ფული ჩადეს და ვხედავთ, რასაც მიაღწიეს. საქართველოში კი ჯერ უცხოელ მწვრთნელებს ახარჯავენ მილიონებს, რომლებსაც კვალიფიკაცია არ გააჩნიათ და ეს მათ მიერ ნაჩვენებ შედეგებსაც ეტყობა. მიტოვებულია ბავშვთა ფეხბურთი. ფეხბურთის ფედერაციაში ორი კაცი ჰყავთ ბავშვთა ფეხბურთში და არ გაინტერესებთ, ისინი რას აკეთებენ? კომპიუტერში შეჰყავთ შედეგები. ეს არის საქმის კეთება?!

...თითქმის არც ერთ რეგიონში აღარ არსებობს ფეხბურთი. ყველგან სავალალო მდგომარეობაა. შევსებას სულ რეგიონებიდან იღებდა ქართული ფეხბურთი — ამიტომ ეროვნული ჩემპიონატის დონე კი არ იზრდება, პირიქით, უკან მიდის. ნაკრებები რა დღეში არიან? კლაუს ტოპმიოლერის ძმა ჰაინცი მეხანძრე ყოფილა, მაგრამ დედმამაშვილმა პატივი სცა და გუნდი ჩააბარა, ფული აშოვნინა. თვითონ ტოპმიოლერმა კი მხოლოდ ფარერებს აჯობა ჯგუფში და ყველას გვახსოვს, თბილისში როგორ გადავრჩით ამ მეთევზეებთან და დურგლებთან. ახალ შესარჩევ ჯგუფში მაქსიმუმი მე-5 ადგილი იქნება. ყველაზე ცუდი კი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის უტეხი პოზიციაა — თქვენ რამდენიც გინდათ ილაპარაკეთ, ჩვენ მაინც ჩვენსას გავაკეთებთო...

...ნოდარ ახალკაცი არალეგიტიმური პრეზიდენტია და იგი უნდა გადადგეს.“

პეტრიაშვილმა ქომაგთა ლიგის რეზოლუციაც გააჟღერა. დარბაზში მყოფთა უმრავლესობამ რეზოლუცია მოიწონა.

მერე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა მამუკა კვარაცხელიამაც ითხოვა სიტყვა: „ყველას გვახსოვს, როგორი სამარცხვინო არჩევნები ჩატარდა ფეხბურთის ფედერაციაში და თბილისის ფეხბურთის ფედერაციაშიც ასეთი უსამართლობა მოხდა — გელა კეტაშვილს ზაზა ბეგაშვილი ამჯობინეს. ფეხბურთის ფედერაციაში მილიონები გაიფლანგა და გაკეთებული არაფერი ჩანს. მარტო გერმანელების ჩამოყვანაში დახარჯეს 5 მილიონი დოლარი. ჩვენი ფულით კლაუს ტოპმიოლერმა გერმანიაში ვენახები შეიძინა. მე ბრძოლას ვაგრძელებ და გაძლევთ პირობას, რომ ახალკაცს და ამ გერმანელებს ქართული ფეხბურთიდან მოვიცილებ და ფულს უკან მოვატანინებ“.

**ნუკრი ლოლაძე**

### ქართული ფეხბურთის ქომაგთა კონფერენციის რეზოლუცია

ქართული ფეხბურთის ქომაგები ქართულ ფეხბურთში შექმნილ მდგომარეობას ვაფასებთ, როგორც კრიზისულს. თვალსა და ხელს შუა ქრება ის დიდი ავტორიტეტი, რომელიც ათეულობით წლების მანძილზე მოიპოვა ჩვენი ფეხბურთის სხვადასხვა თაობამ.

ჩვენი ფეხბურთისთვის ამ მძიმე პერიოდში დუმილი და გაჩუმება დანაშაულის ტოლფასია. ჩვენს ფეხბურთს კრიზისიდან ვერ გამოიყვანს ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობა, მათ ამისთვის არც პროფესიონალიზმი გააჩნიათ და არც ნება. საქართველოს საფეხბურთო საზოგადოებამ და მთელმა ერმა კარგად იცის, რომ 2007 წლის 13 მაისის ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბატონ ნოდარ ახალკაცს და მის სამოქმედო პროგრამას მხარი არ დაუჭირა ქართულმა საფეხბურთო ოჯახმა. სრულ უნდობლობას უცხადებს ჩვენი საფეხბურთო სამყარო იმ უცხოელ მწვრთნელებსაც, რომელთაც ჩააბარა საქართველოს ნაკრები ფეხბურთის ფედერაციამ.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული ფეხბურთის წინაშე მდგომი რთული ამოცანების გადაჭრა შეუძლიათ მხოლოდ საფეხბურთო პრობლემების კარგად მცოდნე, ქვეყნის პატრიოტ, თანამედროვე საფეხბურთო ტენდენციებში კარგად გარკვეულ, მტკიცე, ურყევი ნების მქონე პროფესიონალებს, ქართული საფეხბურთო სამყაროს ჭეშმარიტ რჩეულთ.

ქართული ფეხბურთი ქომაგთა ლიგის კონფერენცია ახმიანებს სრულიად საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა ნებას, დაუყოვნებლივ შეუწყდეთ კონტრაქტები საქართველოს ნაკრებში წარუმატებლად მომუშავე უცხოელ მწვრთნელებს, ასევე დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც იქნება არჩეული სრული ლეგიტიმურობის მქონე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდით, ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ძალების სრული კონსოლიდაციით მოახერხებს ჩვენი ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანას.

*ქართული ფეხბურთის ქომაგთა კონფერენცია*

## უეფას თასი 2007-2008
### 1/16 ფინალი. I მატჩები

**ზენიტი (რუსეთი) 1:0 ვილიარეალი (ესპანეთი)**
1:0 პოგრებნიაკი (63)
**გალათასარაი (თურქეთი) 0:0 ლევერკუზენი (გერმანია)**
**აეკ (საბერძნეთი) 1:1 ხეტაფე (ესპანეთი)**
0:1 დე ლა რედი (86), 1:1 ბლანკო (90)
**ბრანი (ნორვეგია) 0:2 ევერტონი (ინგლისი)**
0:1 ოსმანი (59), 0:2 ანიჩებე (88)
**ვერდერი (გერმანია) 3:0 ბრაგა (პორტუგალია)**
1:0 ნალდო (5), 2:0 დ. იენსენი (27), 3:0 უგო ალმეიდა (903)
**ანდერლეხტი (ბელგია) 2:1 ბორდო (საფრანგეთი)**
0:1 ჟუსიე (69), 1:1 პოლაკი (79), 2:1 მ. მპენზა (90)
**მარსელი (საფრანგეთი) 3:0 სპარტაკი (რუსეთი)**
1:0 შეირუ (62), 2:0 ტაივუ (68), 3:0 ნიანგი (79)
**პსვ (ჰოლანდია) 2:0 ჰელსინგბორგი (შვედეთი)**
1:0 სიმონსი (7), 2:0 ლაზოვიჩი (33)
**რეინჯერსი (შოტლანდია) 0:0 პანათინაიკოსი (საბერძნეთი)**
**სპორტინგი (პორტუგალია) 2:0 ბაზელი (შვეიცარია)**
1:0, 2:0 ვუკჩევიჩი (8, 58)

# ვაი, თქვენს პენალტს, უბედურს!
## ბრაგელი ბიჭები არასწორად უბრაგუნებენ

**როლანდ ლინცი** და ყორყინიო ერთი-ორი დღით თუ დარჩებიან ბრემენში და უგო ალმეიდასგან პენალტების შესრულებას ისწავლიან, ეგებ აღარ დაემართოთ ის, რაც „ვერდერთან" მოუვიდათ. იშვიათი ამბავია, რომ 16 წუთში ორი პენალტი დაინიშნოს, უფრო იშვიათი კი ისაა, რაც „ბრაგას" ფეხბურთელებმა ჩაიდინეს. ლინცმა და ყორყინიომ თერტმეტი მეტრიდან ვერ გაიტანეს — ორივეს ტიმ ვიზემ აუღო. ესეც კიდევ ერთი იშვიათობა — ბევრი მეკარე ვერ დაიკვეხნის, ერთ მატჩში ორი პენალტი მოვიგერიო.

ნალდომ მეოთხე წუთზე 20 მეტრიდან გაიტანა, მერე იყო პირველი პენალტი და დალონებული ლინცის სახე, რასაც იენსენის გოლი მოჰყვა. მეორე პენალტისას ყორყინიომ ბურთთან ლინცი აღარ მიუშვა, მაგრამ ვიზემ ისიც შეარცხვინა. „ვერდერი" ის გუნდი არაა, 2:0-ის მერე დაცვაში გამოკეტილიყო, თუმც მატჩის ბოლო წუთზეღა შეძლო გასამება, როცა უგო ალმეიდამ თერთმეტი მეტრიდან შეაგდო.

თუ ბრემენში მეკარემ იყოჩაღა, სანკტ-პეტერბურგში „ზენიტმა" „ვილიარეალის" მეკარის შეცდომის წყალობით მოიგო. დიეგო ლოპესმა ბურთს ფეხი ააცილა და პოგრებნიაკმა არ აპატია. მოყინულზე სტუმრებს თმაში გაუჭირდათ, თუმც უშანსოდ არ ყოფილან. საუკეთესო მომენტი ნიჰატს ჰქონდა, როცა მალაფეევთან პირისპირ გასულმა სუსტად დაარტყა და ბურთი გოლკიპერის ნადავლი გახდა. მეორე ტაიმის ბოლოს ორჯერ დიდი გაწევ-გამოწევა გაიმართა, რაც ჯერ მასპინძელი, მერე კი სტუმარი ფეხბურთელის საპასუხო უხეშობას მოჰყვა.

„ზენიტის" ქომაგებმა ორმაგად გაიხარეს, რაკი მათთვის საძულველმა „სპარტაკმა" მარსელში წააგო. სტუმრები ერთი საათის განმავლობაში იგერიებდნენ მასპინძელთა შეტევებს, მაგრამ ბენუა შეირუმ მაინც შეამტვრია პლეტიკოშას კარი — სამი ნასრის მიერ ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ შეაგება და ანგარიში გახსნა. გახსნა და „მარსელსაც" მადა გაეხსნა. აფრიკის თასიდან დაბრუნებულმა ტაიე ტაივომ და მამადუ ნიანგმა თერთმეტ წუთში სხვაობა სამამდე გაზარდეს. ტაივომ შეირუს პასი შეირგო და თავით გაიტანა, ნიანგმა კი ცარიელ კარში შეაგდო, როცა სისესთან ერთად მეკარის პირისპირ დარჩა. სისეს თავადაც შეეძლო გატანა, მაგრამ ნიანგი რომ დაინახა...

„ხეტაფესთან" მატჩამდე ორი დღით ადრე მწვრთნელშეცვლილი აეკ-ის თამაშში უკეთესობისკენ ცვლილება არ შეიმჩნეოდა. ლორენსო სერა ფერერი ორშაბათს მოხსნეს და მისი ადგილი დროებით, ამ გუნდის ყოფილმა ფეხბურთელმა ნიკოლაუს კოსტენოღლუმ დაიკავა. მასპინძლებმა პირველ ტაიმში კარში მხოლოდ ერთხელ დაარტყეს, სტუმრებს კი უფრო მეტი მომენტი ჰქონდათ. შესვენების შემდეგ აეკ-ი რივალდომ გამოაცოცხლა, მაგრამ გოლი ხეტაფელმა რუბენ დე ლა რედმა შეაგდო. შეცვლაზე შესული ისმაელ ბლანკოს ფატაზია რომ არა, ნიკოლაოს კოსტენოღლუს დებიუტი ჩაუმწარდებოდა — ბლანკომ ბოლო წუთზე ქუსლით გაიტანა.

„ანდერლეხტსაც" შეცვლაზე შესულმა კაცმა, მბო მპენზამ უშველა „ბორდოსთან", რომელიც თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე იგებდა. „ბორდოს" ყველა შეჯიბრში ბოლო ცხრა მატჩიდან რვა მოგებული ჰქონდა და მორიგი გამარჯვება უნდა მიეთვალა, მაგრამ ათ წუთში წააგო. სულეიმან დიავარას შეცდომით ისარგებლა იან პოლაკმა და ანგარიში გაათანაბრა, მერე კი სტუმრებმა მოედნის შუაში დაკარგეს ბურთი და ჯონათან ლეგეარმა საგოლე პასით დაასაჩუქრა მპენზა, ვისაც ივლისის აქეთ გოლის გემო დავიწყებოდა.

„სპორტინგის" ჩერნოგორიელმა ფორვარდმა სიმონ ვუკჩევიჩმა „ბაზელის" ორივე მეკარეს გაუტანა. მან მერვე წუთზე დააწინაურა მასპინძლები, როცა ბურთი ფრანკო კოსტანცოს კარის დაბალ კუთხეში შეაბრძანა. კოსტანცო პირველი ტაიმის მიწურულს დაშავდა და ლიბერიელი ლუის კრეიტონით შეიცვალა. ვუკჩევიჩმა შესვენების შემდეგ კრეიტონისთვისაც მოიცალა და კუთხეც შეცვალა — ამჯერად ცხრიანში შეაგდო.

ეინდჰოვენში მასპინძლებმა პირველივე ტაიმში მოამთავრეს საქმე და „ჰელსინგბორგს" შვედეთში ორბურთიანი სხვაობა გაატანეს. დანკო ლაზოვიჩის წაქცევისთვის დანიშნული პენალტის შესრულება კაპიტანმა ტიმ სიმონსმა იკისრა და გაიტანა, შესვენებამდე კი თავად ლაზოვიჩმაც იხეირა — ათი მეტრიდან ბურთი მარჯვენა მაღალ კუთხეში შეჭედა.

**ვაჟა ხუციშვილი**




ბრაგელებმა ტიმ ვიზეს პენალტებითაც ვერაფერი მოუხერხეს

## ცოცხალი ლეგენდის ძეგლი

**მადრიდის** „რეალის" ლეგენდარულ ფეხბურთელს, 81 წლის ალფრედო დი სტეფანოს კლუბის სავარჯიშო მოედნის მისასვლელთან ძეგლს დაუდგამენ. საზეიმო ცერემონია კვირას გაიმართება და ღირსშესანიშნავ ამბავს ზეპ ბლატერი და მიშელ პლატინიც დაესწრებიან. უეფას და ფიფას პრეზიდენტები დი სტეფანოსადმი მიძღვნილ გამოფანასაც დაესწრებიან „სანტიაგო ბერნაბეუზე" და მიშელ პლატინი მოხუცს საგანგებო ჯილდოსაც მიართმევს. არგენტინელმა ალფრედო დი სტეფანომ კარიერა „რივერ პლეიტში" დაიწყო, 1953-1963 წლებში კი „რეალში" თამაშობდა. 1956-ში ესპანეთის მოქალაქე გახდა და ნაკრებში 31 მატჩი ჩაატარა. ჩემპიონთა თასზე 49 გოლი გაიტანა და ეს ტურნირი ხუთჯერ მოიგო.

## გადარჩნენ

**„ვესტ ჰემის"** ნახევარმცველი ლი ბოიერი სამმატჩიან დიკვალიფიკაციას გადაურჩა. „ბირმინგემთან" შეხვედრის ბოლოს ბოიერი დემიენ ჯონსონს ეუხეშა და გააძევეს. მსაჯს მოეჩვენა, რომ „ჩაქუჩმა" განგებ, ორივე ფეხით მოჩეხა მეტოქე, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა ვიდეოგამეორებისას მსგავსი რამ ვერ აღმოაჩინა და ფეხბურთელი გაამართლა. „ნიუკასლის" ნახევარმცველ ჯოი ბარტონს კი მსაჯისგან მალულად ასტონვილელი შონ მელოუნისთვის დარტყმა ბრალდებოდა, თუმც ამ საქმიდან სუფთად გამოძვრა.

## ჯონის თვალი

**აფრიკის** ეროვნებათა თასიდან დაბრუნებულმა „ჩელსის" ფეხბურთელმა ჯონ ობი მიკელმა კინაღამ დაბრმავების ამბავი მოყვა. „თითქოს ჩვეულებრივი შეჯახება იყო მეტოქესთან, მაგრამ თვალში ხელი ისე ძლიერ მომხვდა, რომ უცბად დამიბნელდა და შეცვლა ვითხოვე. გასახდელში შესვლის შემდეგ უარესად გავხდი. საერთოდ ველარაფერს ვხედავდი და მეგონა, დავბრმავდი-მეთქი, მერე კი სინათლე დამიბრუნდა და ახლა აღარაფერი მიჭირს" — თქვა ნიგერიელმა.

## არტეტას ვერ ამბობენ

**„ევერტონის"** ესპანელ ნახევარმცველს მიკელ არტეტას საზარდულზე ოპერაცია გაუკეთეს. „იგი სამშობლოში ნაცნობ ექიმთან გაემგზავრა კონსულტაციისთვის. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი ხანი დაჭირდება მის გამოჯანმრთელებას და როდის შეძლებს ვარჯიშის განახლებას" — განცხადა ლივერპულელთა მწვრთნელმა დევიდ მოიესმა.

## ბერნარდის ავარია

**„მონაკოს"** ნახევარმცველი ლუკას ბერნარდი მოედნიდან საავადმყოფოში გააქანეს. სამშაბათის ვარჯიშზე ბერნარდი თანაგუნდელს ისეთი ძალით შეასკდა, რომ უგონოდ დაეცა და მოსასულიერებელი გახდა. „ეკიპის" ცნობით, ბიჭი ექიმთან მიყვანისას უკვე გონზე იყო. მოგვიანებით მას ტვინის შერყევა დაუდგინეს და მალე ისიც გაირკვევა, რამდენხანს მოუწევს საწოლში წრიალი.

## ზიმბაბვედან ბელგიაში

**ბელგიის** ჩემპიონატის ლიდერებში გარეულმა „სერკლ ბრიუგემ" შემტევი ნახევარმცველი ობადია ტარუმბვა იყიდა და ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმა. ტარუმბვა ზიმბაბვეს „ჰაილენდერსში" თამაშობდა და გასულ სეზონში ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. „სერკლ ბრიუგე" ამჟამად მესამე ადგილზეა და არცთუ ურიგო საჩემპიონო შანსი აქვს.

## ოლივიეს სეზონი

**„ოსერის"** ძირითადი მეკარე ოლივიე სორინი დაშავდა და გამორიცხული არაა, სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშოს. 26 წლის გოლკიპერს იდაყვი აქვს საოპერაციო, მორჩენას კი ორ თვეზე მეტი სჭირდება. სორინის ადგილს დროებით, მასზე ექვსი წლით უმცროსი რემი რიუ დაიკავებს. „ოსერის" საქმე ისედაც ცუდად იყო, რადგან გუნდი ბოლოდან მესამე საფეხურზეა და უმაღლესში დასარჩენად იბრძვის.

## გამოცხადებულია ძებნა

**საფრანგეთთან** ამხანაგურ მატჩში გამარჯვების შემდეგ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა განაცხადა, რომ ევრო 2008-ს შემდეგ გუნდიდან წავა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის შეფმა ანხელ მარია ვილიარმა თავის მხრივ აღნიშნა, არაგონესის შემცვლელს უკვე ვეძებთო. ერთ-ერთ კანდიდატად ხოსე ანტონიო კამაჩო განიხილება, ვისაც ადრეც უმუშავია ნაკრებში. ევროპის ჩემპიონატის დასრულების მერე ესპანელები პირველ, ამხანაგურ მატჩს კოპენჰაგენში დანიასთან 20 აგვისტოს გამართავენ.

## დიეგო და დროგბა

**„ბარსელონა"** დეკუს შემცვლელს ეძებს, რომლის გაშვებასაც ამ ზაფხულს აპირებს. თვითონ ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ თქვა, აქ თავს კარგად ვგრძნობ და გუნდის გამოცვლა არ მინდაო, მაგრამ კლუბი პორტუგალიელის თამაშით უკმაყოფილოა. www.goal.com-ის ცნობით, „ბარსას" სკაუტები ირლანდია-ბრაზილიის მატჩს დაესწრნენ და ვერდერელ დიეგოს უთვალთვალებდნენ, რომელიც დეკუს შემცვლელად მიაჩნიათ. რაც შეეხება დროგბას, მისმა თანანაკრებელმა და ბარსელონელმა იაია ტურემ მედიასთან საუბარში „დაახეთქა", რომ ჩელსელ ფორვარდს კატალონიურ კლუბზე აბოდებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მილანს ფეხი დაუცდა



„მილანის" ახალმა მხსნელმა ალბერტო პალოსკიმაც ვერ უშველა

## იტალია

**სერია A**
**გადადებული მატჩი**

**მილანი 1:1 ლივორნო**

0:1 პულცეტი (50), 1:1 პირლო (61პ)
**მილანი:** კალაჩი, ოდო, ბონერა, კალაძე, ფავალი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, გურკუფი, ჟილარდინო (რონალდო 57; სერჯინიო 60), პალოსკი (ფ. ინძაგი 57)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**ლივორნო:** ამელია, გრანდონი, ქნეჟევიჩი, გალანტე, პულცეტი, ვიდიგალი (პავანი 84), დე ვეცე, ა. ფილიპინი, პასკუალე, ტრისტანი (როსინი 76), ტავანო (დიამანტი 90)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: გატუზო, ვიდიგალი, ტრისტანი
მსაჯი: ბრიგი
47 352 მაყურებელი

**მოგებათა** ოთხმატჩიანი სერიის მერე „მილანმა" შინ „ლივორნოს" ვერ სძლია. „როსონერის" ბანაკში ამაზე მეტად ის ეწყინათ, რომ რონალდომ მარცხენა მუხლის ძალიან სერიოზული ტრავმა მიიღო — მყესები გაუწყდა.

თავდაპირველი ინფორმაციით, 31 წლის ბრაზილიელი იქამდეც დაშავებული იყო, თუმცა, როგორც გაირკვა, მისი თამაში შეიძლებოდა და კარლო ანჩელოტიმაც მინდორზე 57-ე წუთზე შეუშვა, მაგრამ რამდენიმე წუთში ინანა, რადგან რონალდომ უცებ მუხლზე იტაცა ხელი, სტიუარდებმა მოედნიდან აცრემლებული გაიყვანეს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს.

მოგვიანებით ექიმებმა განაცხადეს, რომ რონალდოს მყესები გაუწყდა და ცხრა თვიდან ერ წლამდე უქმობა მოუწევს. ტრავმებით გაწამებული ფორვარდისთვის ეს საშინელი იფორმაცია იყო. დიდი შანსია, მან კარიერის დასრულება მართლაც გადაწყვიტოს და ამის მერე მინდორს აღარც დაუბრუნდეს. „კიჭას" მსგავსი ტრავმა 1998-2000 წლების შუალედში ორჯერ ჰქონდა, მაგრამ მარჯვენა მუხლზე.

„რონის სერიოზული პრობლემა აქვს მარცხენა მუხლზე. მინდორზე და გასახდელში მისი ტრავმის მერე საშინელი ატმოსფერო იყო. ტრავმა, თან ასეთი სერიოზული, რონალდოს დარი დიდი ჩემპიონისთვის მძიმე დარტყმაა. მისი ასე მტირალის და განადგურებულის ხილვამ ცუდად იმოქმედა ფეხბურთელებზეც და კლუბის უფროსობაზეც. ამ ამბავს ყველა განვიცდით" — თქვა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

რონალდოს დარად, ბოლომდე მომჯობინებული არც ფილიპო ინძაგი იყო. ტრავმების გამო ვერ ითამაშეს ალეშანდრე პატომ, კაკამ და კლარენს ზეედორფმაც.

„ვფიქრობ, 20 თებერვალს, „არსენალთან" მატჩისთვის ყველა მზად იქნება. მეტიც, ზეედორფისა და კაკას დაბრუნებას შაბათს, „პარმასთან" ველით. ახლა ძალიან ბევრი, თან მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს სათამაშო და ეს ტრავმები ძალიან უადგილოა. რაც შეეხება რონალდოს, მას მატჩამდე სერიოზული პრობლემა არ ჰქონია და იმიტომ შევუშვით მინდორზე, თორემ გიჟები კი არ ვართ, ტრავმიანი რომ გვეთამაშებინა" — განაცხადა ანჩელოტიმ.

სხვათა შორის, არსენ ვენგერი „სან სიროზე" იყო და თავისი გუნდის მომავალ მეტოქეს აკვირდებოდა.

მატჩი ორმხრივ იერიშებში მიმდინარეობდა და მომენტები ორივე კართან შეიქმნა. „ლივორნოს" მეკარემ მარკო ამელიამ ორი „მკვდარი" ბურთი გამოაძრო: ჯერ მასიმო ამბროზინის აულო თავური, მერე კი — ინძაგის.

„ლივორნო" მეორე ტაიმის დებიუტში დაწინაურდა. ნიკო პულცეტიმ ოცდამეოთხე დაბადების დღე ჩინებულად აღნიშნა — კახა კალაძის მიერ თავით [illegible]ბული ბურთი მიიღო, მეტოქის საჯარიმოში შევიდა და შორეულ კუთხეში ლამაზი დარტყმით უშანსოდ დატოვა ჟელკო კალაჩი.

61-ე წუთზე ანდრეა პირლომ პენალტით გაათანაბრა ანგარიში. პენალტი კი იმიტომ დაინიშნა, რომ ხოსე ლუის ვიდიგალმა მასიმოდოს კროსი ხელით შეაჩერა.

ბოლო წუთებზე ტოსკანელების მოგების ჩინებული შანსი მიეცათ — მილანელთა დაცვა ისევ ჩავარდა და იგივე პულცეტი სრულიად დაუცველი დარჩა „როსონერის" საჯარიმოში, მაგრამ მისი ვარდნა უხეირო გამოდგა, ბურთი ფეხებში აუბლანდა და ველარ დაარტყა.

**გიორგი ძაძაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 22 | 17 | 5 | 0 | 46:13 | 56 |
| რომა | 22 | 14 | 6 | 2 | 40:22 | 48 |
| იუვენტუსი | 22 | 12 | 8 | 2 | 42:19 | 44 |
| ფიორენტინა | 22 | 10 | 8 | 4 | 34:21 | 38 |
| მილანი | 22 | 10 | 7 | 5 | 34:17 | 37 |
| უდინეზე | 22 | 9 | 6 | 7 | 25:27 | 33 |
| სამპდორია | 22 | 9 | 4 | 9 | 29:26 | 31 |
| ატალანტა | 22 | 7 | 9 | 6 | 34:32 | 30 |
| ჯენოა | 22 | 7 | 8 | 7 | 23:29 | 29 |
| პალერმო | 22 | 7 | 7 | 8 | 29:37 | 28 |
| ნაპოლი | 22 | 7 | 6 | 9 | 33:34 | 27 |
| ტორინო | 22 | 4 | 12 | 6 | 23:26 | 24 |
| ლაციო | 22 | 5 | 8 | 9 | 24:31 | 23 |
| კატანია | 22 | 5 | 8 | 9 | 19:26 | 23 |
| ლივორნო | 22 | 5 | 8 | 9 | 25:34 | 23 |
| სიენა | 22 | 4 | 8 | 10 | 25:32 | 20 |
| პარმა | 22 | 4 | 8 | 10 | 25:33 | 20 |
| ემპოლი | 22 | 4 | 7 | 11 | 16:29 | 19 |
| რეჯინა | 22 | 3 | 9 | 10 | 18:34 | 18 |
| კალიარი | 22 | 3 | 6 | 13 | 17:39 | 15 |

# კიჭას ყველა გვერდით უდგას

*რვა წლის წინ, როცა ინტერელმა რონალდომ „ლაციოსთან" სათასო მატჩში ალბათ, ყველა დროის უცნობილესი ტრავმა მიიღო, გიო ახვლედიანმა ჟურნალ „სარბიელისთვის" დაწერა:*

რონალდო შეცვლაზე შევიდა იტალიის თასის პირველ ფინალურ მატჩში „ლაციოს" წინააღმდეგ რომის ოლიმპიურ სტადიონზე. მოედანზე შესვლიდან ექვსი წუთის თავზე რონალდომ თავისი ცნობილი ფართონაბიჯიანი ფინტის გაკეთება გადაწყვიტა — ცრუ ნაბიჯი მარცხნივ, ცრუ ნაბიჯი მარჯვნივ და ვერ ხვდები, ბურთს საით გაიგდებს.

წყეული მარჯვენა მუხლი! უკვე ზედიზედ მეორედ, ის ვერ უძლებს რონალდოს ტანის სიმძიმეს. მარჯვენა მუხლის მყესები.

და ისევ ძველი სურათი: განთქმული პარიზელი ქირურგები მსჯელობენ — სამი თვე, ექვსი თვე, ცხრა თვე... ოპერაციამ კი, როგორც წესია, ბრწყინვალედ ჩაიარა, მაგრამ რონალდო ახალ წელს თუ გამოვა მოედანზე.

ამით რა?

ის, რომ გაგრძელდება ძველი ზღაპარი დიდი მოთამაშის შესახებ.





**რონალდოს** ტრავმას იტალიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ექიმები იმედოვნებენ, რომ ყველაფერი კარგად აეწყობა და ამ შემთხვევაში ბრაზილიელი თავისუფლად შეძლებს მინდორზე დაბრუნებას.

„კიჭა" უკვე გაფრინდა პარიზში ჰოსპიტალ „პიტიე სალპეტრიერეში", სადაც 8 წლის წინ მსგავსი ტრავმის მერე ოპერაცია გაუკეთეს. მან მოითხოვა, რომ ოპერაცია ამჯერადაც იგივე ქირურგმა, ჟერარ საილანმა გაუკეთოს. თუმცა, უკეთეს შემთხვევაშიც კი, მას 8-9 თვე უქმობა მაინც მოუწევს.

„რონალდომ თავად ითხოვა, რომ პარიზში გადაგვეყვანა და მისთვის ოპერაცია იგივე ექიმს გაეკეთებინა, რომელმაც რვა წლის წინ უმკურნალა" — განაცხადა „მილანის" ექიმმა პიერ მესერგანმა.

ცნობილი ექიმი ვალტერ პასკალე: „ამ ოპერაციას რვა წლის წინაც ჩინებულად აკეთებდნენ, დღეს კი მედიცინა კიდევ უფრო დაიხვეწა. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, რონალდო მინდორს ისეთივე დიდ ფეხბურთელად დაუბრუნდება, როგორიც აქამდე იყო. უბრალოდ, ამ ხანგრძლივი პაუზის ატანა იქნება ძნელი".

„ეს ძალიან სერიოზული ტრავმაა, მაგრამ მედიცინის თანამედროვე მიღწევების წყალობით ყველაფრის მოგვარება შეიძლება. რეაბილიტაციის პერიოდი სავარაუდოდ 8-10 თვეს წაიღებს. რონალდოს მომავალზე დიდად პესიმისტურად განწყობილი არ ვიქნებოდი, უბრალოდ მთავარი პრობლემა ის არის, რომ ახლა იგი რვა წლით უფრო ბებერია, ვიდრე წინა მსგავსი ტრავმის დროს და უფრო გაუჭირდება მომჯობინება" — აღნიშნა რონალდოსა და „ინტერის" ყოფილმა ექიმმა პიეტრო ვოლპიმ.

„როსონერის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი: „მას ტელეფონით ვესაუბრე და შეძლებისდაგვარად გავამხნევე. რონი საოცრად ნიჭიერია და 31 წლის ასაკი არაფერს ნიშნავს. ვფიქრობ, იგი უპრობლემოდ დაბრუნდება რამდენიმე თვის მერე და ისეთივე ჩემპიონი იქნება, როგორიც არის. სამედიცინო სფეროში ყველას ამის იმედი აქვს".

„მილანის" მცველმა დანიელე ბონერამ: „მინდორზე იმწუთასვე მივხვდით, რომ რაღაც ძალიან სერიოზული და ცუდი მოხდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება და რონალდო, რაც შეიძლება მალე დაბრუნდება, რადგან იგი საოცარი ფეხბურთელი და ნამდვილი პროფესიონალია. მთავარია, ოპტიმისტური განწყობა ჰქონდეს".

კახა კალაძე: „ყველანი განადგურებულნი ვართ რონის ამბით და ახლა რაც შეგვიძლია, ის არის, რომ მაქსიმალურად გვერდით დავუდგეთ. მინდორზე მყისვე მივხვდით, რომ სერიოზულ პრობლემასთან გვქონდა საქმე".

„თავიდან ვერც გავიგე, ვინ დაეცა, მაგრამ მერე ყველაფერი კარგად დავინახე. ძალიან შეშფოთებული ვარ, რადგან იგი ბრწყინვალე პიროვნებაა და ამას არ იმსახურებს. მესმის, როგორ უჭირს ახლა რონის" — თქვა მილანელთა მეკარემ ჟელკო კალაჩმა.

„ლივორნოს" გოლკიპერი მარკო ამელია: „საშინელი ყვირილი შემომესმა, ასეთი რამ სხვა დროს არასდროს გამეგონა. მალევე მივხვდით და დავინახეთ, რომ ეს რონალდო იყო. ძალიან ვწუხვარ, რადგან იგი ჩინებული ფეხბურთელია და წარსულში ბევრი პრობლემა აქვს გადატანილი, ახლა კი ისევ დაშავდა, ძალიან ცუდია. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ მეც და მთელი „ლივორნოც". რაც შეეხება პენალტის, ვიდიგალს ბურთი მართლაც მოხვდა, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ იგი რონალდოს ტრავმით იყო გაოგნებული და მას უყურებდა".

**ძოძი ძანძღელაძე**



ბერნი ეკლსტოუნი

# ფორმულას პატრონის ფორმულა

## თქვენი იდეა უიგანივით ცუდია

**ფორმულა 1-ის** პატრონმა ბერნი ეკლსტოუნმა პრემიერლიგის შეფებს გლობალიზაციის იდეა დაუწუნა. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ პრემიერლიგის პატრონებმა ახალი, სამომავლო პროექტი გაამხილეს, რომლის მიხედვითაც ინგლისის ჩემპიონატის ერთი, დამატებითი ტურის გამართვას საზღვარგარეთ აპირებენ. მაგალითად, პეკინში „მანჩესტერი" — „არსენალის" გამართვა შესაძლებელი იქნება, ოღონდ ამ მატჩის ნახვა ჩინელებს ძვირი დაუჯდებათ.

ბერნი ეკლსტოუნმა ინგლისელებს სანაცვლოდ ახალი იდეა შესთავაზა — პრემიერლიგის დიდი ოთხეულის ტურნირი. ჩემპიონლიგის ქპრის თანამფლობელმა ფორმულელმა „დეილი მირორთან" განაცხადა: „ძალიან მეეჭვება, რომ მაგალითად, სინგაპურში ვინმე დაინტერესდეს „უიგანის" თამაშის ნახვით. ეს პროექტი არ მომწონს. თუ ვინმე მკითხავს, სანაცვლოდ რას გვთავაზობო, ვუპასუხებ: „ლივერპულის", „მანჩესტერის", „არსენალისა" და „ჩელსის" მონაწილეობით ოთხთა ტურნირის, რომელსაც მაყურებელი აუცილებლად ეყოლება. დარწმუნებული ვარ, ეს პროდუქტი კარგად გაიყიდება, ორონდ ფული მთელ პრემიერლიგაზე ვერ გაიყოფა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჭაღარას ბედი ვალენსიაში

**სანტიაგო კანისარესი „ვალენსიას" ახალმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა „ღამურათა" კლუბიდან დაითხოვა. ამ ამბავს ესპანეთში დიდი გამოძახილი მოჰყვა. ფაქტი კი ერთია — „ჭაღარა" დღეს უგუნდოდაა დარჩენილი. ვეტერან მეკარეს „ასი" გაესაუბრა**



**— ყოველდღიური საქმიანობისთვის მოტივაციას რა გაძლევთ?**

— სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. მოდუნების უფლება არც მაქვს, რადგანაც კლუბთან კონტრაქტი საბოლოოდ არ გამიწყვეტია და ხელფასს ჯერ კიდევ მაძლევენ. თუმც რაც არ უნდა გავაკეთო, ის, რაც ჩემთან დაკავშირებით მოხდა, აღარ შეიცვლება.

**— როგორ ფიქრობთ, „ვალენსიას" თავკაც ხუან სოლერთან მუდმივად ოპოზიციაში ყოფნისთვის დაგითხოვეს „მესტალიადან"?**

— სკანდალის ატეხვას არ ვაპირებ, არც ვინმეს ოპოზიციონერ-კრიტიკოსი ვყოფილვარ ოდესმე, მაგრამ, მგონი, პირველი არ ვიქნები, ვინც იტყვის, რომ „ვალენსია" ცუდად იმართება. თუ სოლერთან რამე მითქვამს, მხოლოდ გუნდის სიკეთისთვის ვეუბნებოდი. ეს ის „ვალენსია" არაა, რომლის ნახვაც ასე გვსურს-მეთქი.

**— სოლერი ამბობს, რომ ოცნებობს, თქვენ დიდ ფეხბურთს როდის დაუბრუნდებით...**

— თუ ოცნებობს, საქმის გაკეთებაში ხელს ვინ უშლის? სოლერი ყველაფერზე პასუხისმგებელია. მან საშუალო ვარიანტი გამოძებნა, რათა სკანდალი აეცილებინა თავიდან... იცით, რას გეტყვით? ხუან სოლერის სიტყვები სუფთა უტოპიაა. არ ვიცი, თამაშს რომელ გუნდში გავაგრძელებ, მაგრამ „ვალენსიაში" ჩემი კარიერა რომ დასრულებულია, ეს ჭეშმარიტებაა.

**— არ გეწყინათ, კუმანმა „რასინგთან" სანტიაგო კანისარესის შეცდომის მერე რაც განაცხადა?**

— რატომ უნდა მეწყინოს? როცა შენთვის საპატივცემულო ადამიანი გაგლანძღავს, ცხადია, გული გეტკინება, კუმანი კი... რონალდ კუმანი ჩემთვის აღარ არსებობს, ისევე როგორც მე ჰოლანდიელისთვის. მაშინ რაღაც ხომ უნდა ეთქვა ჩემსა და ალბელდას დასაძირად, ხოლო მის ნათქვამში ზრდილობა-მოკრძალების დეფიციტი აშკარად იგრძნობა.

**— თქვენს კარიერაში 18 დეკემბერი, „ვალენსიადან" დათხოვნის დღე, ყველაზე მძიმე თარიღი იყო?**

— არა. მაშინ უფრო მძიმე დღეები მქონდა, როცა მოედანზე ვცდებოდი, ან „ვალენსია" მარცხდებოდა.

**— რა აკლია თანამედროვე „ვალენსიას"? კარგი ფეხბურთელები?**

— როდესაც ჩემპიონები გავხდით, მაშინ არ ვიყავი სხვებზე საუკეთესონი, უბრალოდ, საქმეში სულს და გულს ვდებდით. საუკეთესო ინსტრუმენტები გვქონდა, რათა საჩემპიონო მოსავალი მოგვემკო.

**— რა ინსტრუმენტები?!**

— რა და მწვრთნელები, ექიმები, ფიზიოთერაპევტები და კლუბის მმართველები. ყველაფერმა ამან ნიადაგი მოამზადა საჩემპიონოდ. ყველა გვეხმარებოდა, რომ საუკეთესონი ვყოფილიყავით.

**— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

— თავს ისევ ფეხბურთელად ვგრძნობ. „ვალენსიასთან" კონტრაქტის ამბავზე მოლაპარაკება მალე მექნება, შეიძლება, სამხრეთ ამერიკაში წავიდე, შეიძლება, იაპონიაში ან ყატარში. ან იქნებ ევროპაშიც დავრჩე...



# მოხუცს არც გადარეული უნდა და არც ფულხარბი

**დიდი** ალფრედო დი სტეფანო მარადონას და პელეს გაუბრაზდა და თავის საპატივცემულოდ გასამართ მატჩზე ეს ორი ლეგენდარული კაცი არ დაპატიჟა.

მადრიდის „რეალსა" და დანარჩენი მსოფლიოს ვარსკვლავებს შორის ჯახი ესპანეთის სატახტოში, „ალფრედო დი სტეფანო არენაზე" გაიმართება. საბენეფისო მატჩის წინ სამეფო გუნდის საპატიო პრეზიდენტს მიშელ პლატინი უეფას სპეციალურ ჯილდოს გადასცემს, სტადიონზე კი დონ ალფრედოს ბრინჯაოს ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიალს მოაწყობენ.

ფეხბურთის ყველაზე დიადნი კი მოწვეულ სტუმრებს შორის არ იქნებიან. მარადონამ მოხუცი დი სტეფანო ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი სიყვარულით (თუმცა ბოლო პერიოდში დიეგო ამ დამღუპველ საქმეს შეეშვა) და მემარცხენე დიქტატორებთან პოლიტიკური კეკლუცობით გააბრაზა — აბა, რაში სჭირდება კონსერვატორ დონ ალფრედოს ფიდელ კასტროსა და უგო ჩავესის ძმაკაცთან მეგობრობა? პელე კი პირიქით, ფულხარბიანობის გამო აითვალისწუნეს — ბრაზილიელმა თავისი სახის სრული კომერციალიზაცია მოახდინა და სპორტულ ღონისძიებებს აღარ ესწრება, თუ, რა თქმა უნდა, ორგანიზატორებმა მიწამდე თავი არ დაუხარეს და სპეციალური კონტრაქტი არ გაუფორმეს. ძალიან ნაკლებად სავარაუდოა, ალფრედო დი სტეფანო ბრაზილიელს შეევედროს, უშენოდ ჩემს საბენეფისო მატჩს რა აზრი ექნება, ოღონდ მოდი და ნებისმიერ კონტრაქტზე თანახმანი ვართო...

**ლადო ხომერიკი**

# დიეგო დიეგოს ნაცვლად

## იუვემ სევილიელ კაპელს დაუმიზნა

**ესპანურ-იტალიური** პრესის ცნობით, „სევილიას" 20 წლის ვარსკვლავ დიეგო კაპელს „იუვენტუსმა" დაადგა თვალი. ამბობენ, თუ ტურინელებს ბრემენის „ვერდერის" ლიდერ დიეგოსთან არაფერი გამოუვათ, მერე ბოლომდე გადაერთვებიან კაპელზე.

გავრცელებული ცნობით, „იუვეს" „ბრემენელი მუსიკოსებისთვის" დიეგოს სანაცვლოდ 22 მილიონი ევრო შეუთავაზებიათ, მაგრამ პასუხად უარი მიუღიათ — 8 მილიონი მაინც დაამატეთო.

მოკლედ, თუ „ბებერი ქალბატონი" და „ვერდერი" საერთო ენას ვერ გამონახავენ, „იუვენტუსი" კაპელზე გადაერთვება, რომელიც პრიმერადივიზიონში ამჟამად თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა.

„ჩემთვისაც სიურპრიზი იყო, პრესაში კაპელის ტრანსფერზე საუბარი რომ დაიწყო. ჯერ ძალიან ადრეა ამაზე ლაპარაკი. შემიძლია გითხრათ, რომ მას „სევილიასთან" ჯერ კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აქვს და დიეგოს გამოსასყიდი თანხა დაახლოებით 13 მილიონი ევროა. არცერთი კლუბი არ დამკავშირებია და არც „სევილიასგან" გამიგია რამე. ასე რომ, სხვას ვერაფერს გეტყვით. კაპელი ახლა მხოლოდ სევილიელთა რიგებში კარგ თამაშზე ფიქრობს" — თქვა ფეხბურთელის აგენტმა რენე რამოსმა.

**კოკი კანდელაკი**

## ლიბერტადორესის თასი 2008

I ჯგუფი. I ტური

**კრუზეირო (ბრაზილია) 3:0 რეალ პოტოსი (ბოლივია)**

1:0 მ. მარტინსი (46), 2:0 ნ. სანტოსი (53), 3:0 გილერმე (67)

IV ჯგუფი. I ტური

**კორონელ ბოლონეზი (პერუ) 0:0 ფლამენგო (ბრაზილია)**

V ჯგუფი. I ტური

**დეპორტივო სან მარტინი (პერუ) 2:0 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

1:0 ოველარი (14), 2:0 ხ. დიასი (90)

VI ჯგუფი. I ტური

**კუკუტა დეპორტივო (კოლუმბია) 0:0 სანტოსი (ბრაზილია)**

## ჩილე

აპერტურა. IV ტური

კობრესალი — ო ჰიგინსი 0:0; უაჩიპატო — ანტოფაგასტა 3:1; სან მორნინგი — პალესტინო 1:1; უნიონ ესპანიოლა — კობრელოა 0:1; კოლო კოლო — უნივ. კონსეპსიონი 1:0; დეპ. კონსეპსიონი — ატლეტიკო 0:0; ისორნო — რეინჯერსი 2:1

## მექსიკა

კლაუსურა. V ტური

პაჩუკა — ტიგრესი 6:1; ამერიკა — მორელია 0:1; ხაგუარესი — ნეკაქსა 0:0; პუებლა — უნამი 1:1; მონტერეი — ტეკოსი 3:0; ტოლუკა — კრუზ ასული 1:1; ვერაკრუსი — სან ლუისი 1:1; გვადალახარა — სანტოსი 3:2; ატლანტე — ატლასი 3:3

## შოტლანდია

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

**ჰიბერნიანი 4:2 გრეტნა**

1:0 ნიში (10), 2:0, 3:0 ს. ფლეტჩერი (19, 58), 3:1 სკელტონი (81), 3:2 დეუშერი (88), 4:2 ს. ფლეტჩერი (90ვ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 23 | 18 | 2 | 3 | 54:17 | 56 |
| სელტიკი | 23 | 16 | 4 | 3 | 5&18 | 52 |
| დანდი იუნ. | 25 | 12 | 3 | 10 | 3&32 | 39 |
| მოზერუელი | 22 | 12 | 2 | 8 | 32:28 | 38 |
| აბერდინი | 25 | 9 | 6 | 10 | 29:38 | 33 |
| ჰიბერნიანი | 24 | 8 | 8 | 8 | 34:32 | 32 |
| ინვერნესი | 24 | 10 | 2 | 12 | 32:37 | 32 |
| ფოლკირკი | 25 | 9 | 5 | 11 | 34:40 | 32 |
| ჰართსი | 25 | 8 | 6 | 11 | 36:40 | 30 |
| სენტ მირენი | 23 | 7 | 5 | 11 | 17:37 | 26 |
| კილმარნოკი | 25 | 5 | 7 | 13 | 24:36 | 22 |
| გრეტნა | 24 | 3 | 4 | 17 | 21:54 | 13 |

# ვის დარჩება კატალონია?

## კამპ ნოუზე რაიკარდის სჯერათ, ალტერნატივას კი მაინც ეძებენ

**„ბარსელონა“ დღეს ესპანური პრიმერას ცხრილში მეორე ადგილზეა და ჩემპიონობის მთავარ ფავორიტს, მადრიდის „რეალს“ 8 ქულით ჩამორჩება. ამ ეტაპისთვის კატალონიელები სამივე დიდ გათამაშებაში (პრიმერადივიზიონი, ჩემპიონთა ლიგა, კოპა დელ რეი) კვლავაც გამარჯვებისთვის იბრძვიან, თუმც „კამპ ნოუს“ გუნდის ქომაგთა შორის ბევრია ისეთი, ვინც აცხადებს, რომ „ბარსელონაში“ ამჟამინდელი საფეხბურთო ციკლი დასასრულს მიუახლოვდა და შედეგთა გასაუმჯობესებლად ახალი მწვრთნელია საჭირო**

**ესპანურ** მედიაში კი წერენ, რომ „ბარსას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა „კამპ ნოუზე“ ფრანკ რაიკარდის დარჩენის მომხრეა. შეგახსენებთ, რომ კატალონიელთა დღევანდელმა მმართველმა საბჭომ და ჰოლანდიელმა სპეციალისტმა „ბარსელონაში“ მოღვაწეობა თითქმის ერთდროულად დაიწყეს.

ხუან ლაპორტამ რაიკარდი გუნდში თავისი გაპრეზიდენტებისთანავე, 2003-ის ზაფხულში მიიყვანა. მოქმედი კონტრაქტით, ფრანკს ესპანური პრიმერას გრანდთან 2009 წლის ივნისამდე უწევს თანამშრომლობა.

სადღეისოდ „ბარსას“ თამაში მრავალ ეჭვს იწვევს. ამიტომაც ჟურნალისტებმა სენიორ ლაპორტას უკვე მერამდენედ ჰკითხეს, რაიკარდი თქვენი გუნდის თავკაცად დარჩება, თუ არაო. პრეზიდენტიც ჰოლანდიელის ქებას ჯერ არ დაუღლია და დაბეჯითებით იმეორებს, რომ ფრანკი „ბარსელონასთვის“ იდეალური მწვრთნელია.

ხუან ლაპორტას რაიკარდისადმი პატივისცემის მიზეზი მარტო ჰოლანდიელის საფეხბურთო განსწავლულობა როდია. საქმე ის გახლავთ, რომ დახვეწილი, თუმც მტკიცე ხასიათის მქონე მწვრთნელი „ბარსას“ ჭირვეულ ვარსკვლავებთან საერთო ენის გამონახვას იოლად ახერხებს. „ეს კი ჩვენი გუნდის ფილოსოფიას იდეალურად ესადაგება“ — ამბობს პრეზიდენტი ლაპორტა.

გუნდის დირექტორატს ისიც არ ავიწყდება, 5 წლის წინ უფსკრულისკენ მიმავალი „ბარსელონა“ „კამპ ნოუზე“ კეთილ ჯადოქრებად მოვლენილმა ფრანკ რაიკარდმა და ბრაზილიელმა რონალდინიომ რომ მოასულიერეს და მერე დიდი ჯილდოებიც მოაგებინეს.

ჰოლანდიელმა კატალონიური გუნდი ღიდევროპულ ელიტაში დააბრუნა და მეტოქეთათვის ძველებურად საშიშ ძალად აქცია. ბოლოს და ბოლოს, ფრანკის თაოსნობით ბარსელონელებმა ორჯერ პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა, ჩემპიონთა ლიგა და ესპანეთის ორი სუპერთასი მოიგეს. და ეს ყველაფერი „ბარსას“ მუზეუმში კარგახნიანი სატიტულო გვალვის შემდეგ დახვავდა.

ახლა საკითხს სხვა კუთხით შევხედოთ. შარშან „ბარსელონას“ ფანებმა საშინელი იმედგაცრუება განიცადეს. გუნდმა ყველაფერი წააგო, ხოლო ზოგიერთ ტურნირზე სრულიად უაზროდ დამარცხდა. აბა, რას ნიშნავდა საკლუბო მუნდიალზე პორტუ ალეგრეს სუსტ „ინტერთან“ წაგება? ან კიდევ შოკისმომგვრელი კრახი კოპა დელ რეიზე „ხეტაფესთან“ მაშინ, როცა ბარსელონელებს პირველი თამაში დიდი ანგარიშით ჰქონდათ მოგებული?

| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 385 | ზლინი-სპარტა | 4.10 | 3.20 | 1.80 | 1.79 | 1.25 | 1.15 |
| 20:00 | 390 | სიგმა-ბოჰემიანსი | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 13:15 | 383 | ჟიჟკოვი-კლადნო | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 20:00 | 386 | ტეპლიცე-მოსტი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| 18:00 | 387 | პლზენი-ბრნო | 2.60 | 2.80 | 2.75 | 1.34 | 1.33 | 1.38 |
| 20:00 | 388 | ბოლესლავი-იაბლონეცი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 23:15 | 389 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1.35 | 4.10 | 8.00 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| | | 18 თებერვალი | | | | | | |
| 20:15 | 384 | ლიბერეცი-ბანიკი | 2.50 | 2.90 | 2.75 | 1.34 | 1.30 | 1.41 |
| | | ინგლისი. FA Cup | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 16:30 | 142 | როვერსი-საუთჰემპტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 143 | კარდიფი-ვულვერჰემპტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 144 | ლივერპული-ბარნსლი | 1.12 | 6.50 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.90 |
| 21:15 | 146 | მანჩესტერი-არსენალი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 148 | ქოვენთრი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 149 | ჩელსი-ჰადერსფილდი | 1.05 | 7.50 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 5.76 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 145 | პრესტონი-პორტსმუთი | 3.80 | 3.40 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| 18:00 | 147 | შეფილდი-მიდლსბრო | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | [illegible] |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 555 | ზლინი-უსტი | 1.30 | 4.00 | 5.90 | 1.00 | 1.06 | 2.38 |
| 20:00 | 556 | კარლოვი ვარი-კლადნო | 1.75 | 4.00 | 2.95 | 1.21 | 1.09 | 1.69 |
| 20:00 | 557 | ზნოიმო-სპარტა | 2.10 | 4.00 | 2.30 | 1.37 | 1.09 | 1.46 |
| 20:00 | 558 | ტრჟინეცი-ბუდეიოვიცე | 2.15 | 4.00 | 2.25 | 1.39 | 1.09 | 1.44 |
| 20:00 | 559 | პარდუბიცე-ლიბერეცი | 1.90 | 4.00 | 2.45 | 1.28 | 1.07 | 1.51 |
| 20:00 | 560 | ლიტვინოვი-ვიტკოვიცე | 1.70 | 4.00 | 3.15 | 1.19 | 1.10 | 1.76 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 575 | მანჰაიმი-იზერლონი | 1.50 | 4.20 | 3.90 | 1.10 | 1.08 | 2.02 |
| 22:30 | 576 | ვოლფსბურგი-დიუსელდორფი | 2.70 | 4.20 | 1.80 | 1.64 | 1.08 | 1.25 |
| 22:30 | 578 | აისბარენი-ჰანოვერი | 1.50 | 4.20 | 3.70 | 1.10 | 1.06 | 1.96 |
| 22:30 | 579 | სტრაუბინგი-დუისბურგი | 1.55 | 4.20 | 3.60 | 1.13 | 1.08 | 1.93 |
| 22:30 | 580 | ფრანკფურტი-ჰამბურგი | 1.45 | 4.20 | 4.20 | 1.07 | 1.07 | 2.09 |
| 22:30 | 581 | კიოლნი-ნიურნბერგი | 2.00 | 4.10 | 2.45 | 1.34 | 1.10 | 1.53 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 593 | ლუგანო-ბერნი | 2.25 | 4.00 | 2.15 | 1.44 | 1.09 | 1.39 |
| 22:30 | 594 | ფრიბურგი-კლოტენი | 2.10 | 4.00 | 2.25 | 1.37 | 1.08 | 1.44 |
| 22:30 | 595 | სერვეტი-დავოსი | 1.90 | 4.00 | 2.55 | 1.28 | 1.08 | 1.55 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 15 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 603 | სიბირი-ლადა | 1.65 | 4.20 | 2.80 | 1.18 | 1.03 | 1.67 |
| 20:00 | 604 | ტორპედო-ნეფტეხიმიკი | 1.95 | 4.20 | 2.20 | 1.33 | 1.03 | 1.44 |
| 16:00 | 605 | ნოვოკუზნეცკი-მვდ | 1.60 | 4.20 | 2.90 | 1.15 | 1.03 | 1.71 |
| 13:00 | 606 | ამური-ტრაქტორი | 1.75 | 4.10 | 2.60 | 1.22 | 1.04 | 1.59 |
| 20:00 | 607 | აკ-დინამო მ | 1.60 | 4.10 | 2.90 | 1.15 | 1.03 | 1.69 |
| 17:30 | 608 | მაგნიტოგორსკი-აკ ბარსი | 1.70 | 4.10 | 2.70 | 1.20 | 1.04 | 1.62 |
| 20:00 | 609 | ლოკომოტივი-ცსკა | 1.95 | 4.20 | 2.20 | 1.33 | 1.03 | 1.44 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15015 | სტოკი-სკანთორპი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | იფსვიჩი-ბლეკპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ლესტერი-ნორვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ჩარლტონი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | ჰალი-კოლჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | ჰანოვერი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15162 | კარლსრუე-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | ვერდერი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | ჰამბურგი-ბოხუმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | კოტბუსი -დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ჰერტა-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | ჰანზა-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | შალკე-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | დუისბურგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | ფიურტი-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | ფრაიბურგი-აუგსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | კარლ ცაისი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ვეენი-აუე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | მიუნხენი 1860-ჰოფენჰაიმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | კობლენცი-ზტ.პაული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | პადერბორნი-ოსნაბრიუკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15299 | ნიორი-ამიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15300 | გენგამი-ანჟე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | ნანტი-ბასტია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15302 | ლიბურნი-ბრესტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15303 | ტრუა-შატორუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15304 | გრენობლი-კლერმანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15305 | გენიონი-ლე ავრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15306 | აიაჩო-მონპელიე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15307 | დიჟონი-რეიმსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15308 | ბულონი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15309 | ბრიუგე-სტანდარდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15310 | გენტი-სერკლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | ბევერსხოტი-ვარეგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | მეხელენი-ლოკერენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | მონსი-შარლერუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | რუზელარე-ბრიუსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | სტ.ტრუიდენი-დენდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | ვესტერლო-გენკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15324 | გრააფსხაპი-ბრედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | ტილბურგი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15327 | ჰერაკლესი-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15328 | ნაიმეგენი-ექსელსიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | როდა-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15330 | უტრეხტი-ვენლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15331 | ფეიენოორდი-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15334 | გრონინგენი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15335 | ემენი-დენ ბოსხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15336 | ტელსტარი-ჰელმონდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15337 | ვალვაიკი-დორდრეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15338 | მაასტრიხტი-როზენდალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15339 | ვინდჰოვენი-კამბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15340 | აპელდორნი-ვეენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | ოსი-ზვოლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15342 | ომნივორლდი-ხიტარდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15343 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15344 | იგლზი-დენ ჰააგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15345 | ლეიშოეში-ბოავიშტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15346 | მარიტიმუ-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15347 | ნასიონალი-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15348 | ნავალი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15350 | ფერეირა-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15351 | ბრაგა-სეტუბალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15354 | ლეირია-ბელენენსეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15373 | რიზე-ფენერბაჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15375 | კონია-გალათასარაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15377 | კაისერი-გაზიანთეპი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15378 | მანისა-გენჩლერბირლიგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15379 | ბურსა-ისტანბული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15380 | ოფთასპორი-სივასპორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15381 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15382 | ბეშიქთაში-ანკარა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15730 | ოფენბახი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16015 | სტოკი-სკანთორპი | 1.17 | 4.10 |
| 16020 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 1.55 | 2.20 |
| 16022 | იფსვიჩი-ბლეკპული | 1.24 | 3.60 |
| 16023 | ლესტერი-ნორვიჩი | 1.70 | 1.95 |
| 16025 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.70 | 1.95 |
| 16026 | ჰალი-კოლჩესტერი | 1.25 | 3.40 |
| 16160 | ჰანოვერი-ბაიერნი | 3.30 | 1.25 |
| 16162 | კარლსრუე-ლევერკუზენი | 1.80 | 1.80 |
| 16163 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.11 | 5.70 |
| 16165 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.12 | 4.60 |
| 16167 | კოტბუსი -დორტმუნდი | 1.95 | 1.65 |
| 16168 | ჰერტა-არმინია | 1.17 | 4.10 |
| 16169 | ჰანზა-აინტრახტი | 1.85 | 1.80 |
| 16170 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.17 | 4.10 |
| 16171 | დუისბურგი-შტუტგარტი | 2.10 | 1.60 |
| 16174 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.34 | 2.80 |
| 16175 | ფიურტი-კაიზერსლაუტერნი | 1.24 | 3.60 |
| 16176 | ფრაიბურგი-აუგსბურგი | 1.34 | 2.80 |
| 16177 | კარლ ცაისი-კიოლნი | 2.20 | 1.50 |
| 16178 | ვეენი-აუე | 1.38 | 2.65 |
| 16179 | მიუნხენი 1860-ჰოფენჰაიმი | 1.62 | 2.05 |
| 16180 | კობლენცი-ზტ.პაული | 1.50 | 2.30 |
| 16181 | პადერბორნი-ოსნაბრიუკი | 1.38 | 2.65 |
| 16299 | ნიორი-ამიენი | 1.62 | 2.05 |
| 16300 | გენგამი-ანჟე | 1.55 | 2.20 |
| 16301 | ნანტი-ბასტია | 1.38 | 2.65 |
| 16302 | ლიბურნი-ბრესტი | 1.62 | 2.05 |
| 16303 | ტრუა-შატორუ | 1.22 | 3.40 |
| 16304 | გრენობლი-კლერმანი | 1.52 | 2.20 |
| 16305 | გენიონი-ლე ავრი | 2.90 | 1.32 |
| 16306 | აიაჩო-მონპელიე | 1.65 | 2.05 |
| 16307 | დიჟონი-რეიმსი | 1.62 | 2.05 |
| 16308 | ბულონი-სედანი | 1.80 | 1.85 |
| 16309 | ბრიუგე-სტანდარდი | 1.45 | 2.45 |
| 16310 | გენტი-სერკლი | 1.70 | 1.95 |
| 16311 | ბევერსხოტი-ვარეგემი | 1.17 | 4.10 |
| 16312 | მეხელენი-ლოკერენი | 1.62 | 2.05 |
| 16313 | მონსი-შარლერუა | 1.70 | 1.95 |
| 16314 | რუზელარე-ბრიუსელი | 1.24 | 3.60 |
| 16315 | სტ.ტრუიდენი-დენდერი | 1.40 | 2.55 |
| 16316 | ვესტერლო-გენკი | 1.62 | 2.05 |
| 16324 | გრააფსხაპი-ბრედა | 2.05 | 1.65 |
| 16325 | ტილბურგი-პსვ | 4.20 | 1.15 |
| 16327 | ჰერაკლესი-ჰერენვენი | 3.60 | 1.23 |
| 16328 | ნაიმეგენი-ექსელსიორი | 1.17 | 4.10 |
| 16329 | როდა-ტვენტე | 1.62 | 2.05 |
| 16330 | უტრეხტი-ვენლო | 1.10 | 5.50 |
| 16331 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1.10 | 5.50 |
| 16334 | გრონინგენი-ალკმაარი | 1.40 | 2.55 |
| 16335 | ემენი-დენ ბოსხი | 1.95 | 1.65 |
| 16336 | ტელსტარი-ჰელმონდი | 1.70 | 1.95 |
| 16337 | ვალვაიკი-დორდრეხტი | 1.14 | 4.70 |
| 16338 | მაასტრიხტი-როზენდალი | 1.45 | 2.45 |
| 16339 | ვინდჰოვენი-კამბური | 1.38 | 2.65 |
| 16340 | აპელდორნი-ვეენდამი | 1.70 | 1.95 |
| 16341 | ოსი-ზვოლე | 1.82 | 1.82 |
| 16342 | ომნივორლდი-ხიტარდი | 1.25 | 3.40 |
| 16343 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 2.45 | 1.40 |
| 16344 | იგლზი-დენ ჰააგი | 1.55 | 2.20 |
| 16345 | ლეიშოეში-ბოავიშტა | 1.62 | 2.05 |
| 16346 | მარიტიმუ-პორტუ | 3.60 | 1.23 |
| 16347 | ნასიონალი-გიმარაეში | 1.70 | 1.95 |
| 16348 | ნავალი-ბენფიკა | 3.60 | 1.23 |
| 16350 | ფერეირა-აკადემიკა | 1.50 | 2.30 |
| 16351 | ბრაგა-სეტუბალი | 1.38 | 2.65 |
| 16354 | ლეირია-ბელენენსეში | 2.10 | 1.60 |
| 16371 | კასიმპასა-დენიზლი | 2.40 | 1.45 |
| 16373 | რიზე-ფენერბაჩე | 3.60 | 1.23 |
| 16375 | კონია-გალათასარაი | 2.40 | 1.45 |
| 16377 | კაისერი-გაზიანთეპი | 1.17 | 4.10 |
| 16378 | მანისა-გენჩლერბირლიგი | 1.65 | 2.05 |
| 16379 | ბურსა-ისტანბული | 1.34 | 2.80 |
| 16380 | ოფთასპორი-სივასპორი | 2.05 | 1.65 |
| 16381 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 1.80 | 1.85 |
| 16382 | ბეშიქთაში-ანკარა | 1.10 | 5.50 |
| 16730 | ოფენბახი-ალემანია | 1.80 | 1.85 |

## გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17015 | სტოკი-სკანთორპი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | იფსვიჩი-ბლეკპული | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ლესტერი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ჰალი-კოლჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17160 | ჰანოვერი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | კარლსრუე-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | კოტბუსი -დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ჰერტა-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17169 | ჰანზა-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17170 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | დუისბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | ფიურტი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ფრაიბურგი-აუგსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | კარლ ცაისი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ვეენი-აუე | 1.85 | 1.95 |
| 17179 | მიუნხენი 1860-ჰოფენჰაიმი | 1.85 | 1.95 |
| 17180 | კობლენცი-ზტ.პაული | 1.85 | 1.95 |
| 17181 | პადერბორნი-ოსნაბრიუკი | 1.85 | 1.95 |
| 17299 | ნიორი-ამიენი | 1.85 | 1.95 |
| 17300 | გენგამი-ანჟე | 1.85 | 1.95 |
| 17301 | ნანტი-ბასტია | 1.85 | 1.95 |
| 17302 | ლიბურნი-ბრესტი | 1.85 | 1.95 |
| 17303 | ტრუა-შატორუ | 1.85 | 1.95 |
| 17304 | გრენობლი-კლერმანი | 1.85 | 1.95 |
| 17305 | გენიონი-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 17306 | აიაჩო-მონპელიე | 1.85 | 1.95 |
| 17307 | დიჟონი-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17308 | ბულონი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17309 | ბრიუგე-სტანდარდი | 1.85 | 1.95 |
| 17310 | გენტი-სერკლი | 1.85 | 1.95 |
| 17311 | ბევერსხოტი-ვარეგემი | 1.85 | 1.95 |
| 17312 | მეხელენი-ლოკერენი | 1.85 | 1.95 |
| 17313 | მონსი-შარლერუა | 1.85 | 1.95 |
| 17314 | რუზელარე-ბრიუსელი | 1.85 | 1.95 |
| 17315 | სტ.ტრუიდენი-დენდერი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | ვესტერლო-გენკი | 1.85 | 1.95 |
| 17317 | ანდერლეხტი-მუსკრონი | 1.85 | 1.95 |
| 17324 | გრააფსხაპი-ბრედა | 1.85 | 1.95 |
| 17325 | ტილბურგი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17327 | ჰერაკლესი-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17328 | ნაიმეგენი-ექსელსიორი | 1.85 | 1.95 |
| 17329 | როდა-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17330 | უტრეხტი-ვენლო | 1.85 | 1.95 |
| 17331 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1.85 | 1.95 |
| 17332 | აიაქსი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17334 | გრონინგენი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17335 | ემენი-დენ ბოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17336 | ტელსტარი-ჰელმონდი | 1.85 | 1.95 |
| 17337 | ვალვაიკი-დორდრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17338 | მაასტრიხტი-როზენდალი | 1.85 | 1.95 |
| 17339 | ვინდჰოვენი-კამბური | 1.85 | 1.95 |
| 17340 | აპელდორნი-ვეენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17341 | ოსი-ზვოლე | 1.85 | 1.95 |
| 17342 | ომნივორლდი-ხიტარდი | 1.85 | 1.95 |
| 17343 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17344 | იგლზი-დენ ჰააგი | 1.85 | 1.95 |
| 17345 | ლეიშოეში-ბოავიშტა | 1.85 | 1.95 |
| 17346 | მარიტიმუ-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17347 | ნასიონალი-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17348 | ნავალი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17350 | ფერეირა-აკადემიკა | 1.85 | 1.95 |
| 17351 | ბრაგა-სეტუბალი | 1.85 | 1.95 |
| 17352 | სპორტინგი-ამადორა | 1.85 | 1.95 |
| 17354 | ლეირია-ბელენენსეში | 1.85 | 1.95 |
| 17371 | კასიმპასა-დენიზლი | 1.85 | 1.95 |
| 17373 | რიზე-ფენერბაჩე | 1.85 | 1.95 |
| 17375 | კონია-გალათასარაი | 1.85 | 1.95 |
| 17377 | კაისერი-გაზიანთეპი | 1.85 | 1.95 |
| 17378 | მანისა-გენჩლერბირლიგი | 1.85 | 1.95 |
| 17379 | ბურსა-ისტანბული | 1.85 | 1.95 |
| 17380 | ოფთასპორი-სივასპორი | 1.85 | 1.95 |
| 17381 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 1.85 | 1.95 |
| 17382 | ბეშიქთაში-ანკარა | 1.85 | 1.95 |
| 17730 | ოფენბახი-ალემანია | 1.85 | 1.95 |



ვალერი ლიპარტელიანი

# საქართველო საქართველოს პრიზიორებით

16-17 **თებერვალს** ავსტრიაში მორიგი მსოფლიოს თასი გაიმართება კაცთა შორის. საქართველოს ნაკრები ტურნირზე საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობით გაემგზავრა. საქმე ისაა, რომ ნაკრების ლიდერებმა გასულ უქმეებზე პარიზის მსოფლიოს სუპერთასზე იჭიდავეს და ამჟამადაც საფრანგეთში იმყოფებიან ერთობლივ ვარჯიშებზე.

საქართველოს ნაკრების საავსტრიო შემადგენლობაში მოხვედრილი ბიჭების ბოლოდროინდელი მონაგარი მეტწილად 2007 წლის მიწურულს ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზე მოპოვებული მედლები გახლავთ. ამ გუნდიდან ბოლო დროს საერთაშორისო ტურნირზე მოხვეჭილი მედლით მხოლოდ ვალერი ლიპარტელიანი დაიკვეხნის. ვალერი თბილისის მსოფლიოს თასზე მესამე ადგილზე გავიდა.

60 კგ წონით კატეგორიაში ავსტრიაში საქართველოს ვახტანგ ხოსიტაშვილი და ამირან პაპინაშვილი წარადგენენ. პაპინაშვილი საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

66 კგ წონით კატეგორიაში მინდია ხომიზური და ხვიჩა ხუციშვილი იბრძოლებენ. ხუციშვილი ძალიან ნიჭიერი ფალავანია და რომ არა ჩვენს ნაკრებში არსებული უდიდესი კონკურენცია, საქართველოს ჩემპიონი ეროვნული გუნდის პირველნომრობასაც გაართმევდა თავს.

73 კგ წონით კატეგორიაში თენგიზ პაპოშვილი გავა ტატამზე. ამ წონაში ნაკრების პირველი ნომერი დავით ქევხიშვილი, უკვე დიდი ხანია, ტრავმის გამო უქმობს და პაპოშვილს შანსი ეძლევა თავისი შესაძლებლობების დასამტკიცებლად.

81 კგ-ში საბა გავაშელიშვილი და ლევან წიკლაური იჭიდავებენ. მართალია, გიორგი ბაინდურაშვილმა ამ წონაში პარიზის სუპერთასზე ერთადერთი მედალი მოიპოვა და ოლიმპიური ლიცენზიაც თითქმის დაიბევა, მაგრამ გავაშელიშვილის და წიკლაურის წარმატების შემთხვევაში, შოთა ხაბარელი უკვე ამ სამეულიდან შეარჩევს პეკინში წამსვლელს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატზე გავაშელიშვილმა პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო წიკლაურმა — მესამე.

90 კგ-ში ვალერი ლიპარტელიანი და ბესიკ ტყემალაძე იბრძოლებენ. ლიპარტელიანის ნიჭში ქართველი ძიუდოს ქომაგი უკვე რამდენჯერმე დარწმუნდა. ახალგაზრდა სპორტსმენი უდავოდ ნიჭიერი ფალავანია და ამიტომ მისი საერთაშორისო სარბიელზე ნახვა ორმაგად საინტერესოა. ლიპარტელიანმა და ბესიკ ტყემალაძემ საქართველოს ჩემპიონატის ფინალშიც იჭიდავეს, სადაც ვალერიმ იმარჯვა.

100 კგ-ში ლევან რაზმაძე დაამტკიცებს საქმეში თავის სტაბილურობას. ლევანი ტაქტიკურად გამართული ჭიდაობით გამოირჩევა და ნაკრების ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ტურნირებში კარგი შედეგის მიღწევა შეუძლია.

მძიმე წონით კატეგორიაში ზვიად ხანჯალიაშვილი და 100 კგ-დან მძიმეში გადასული საქართველოს ჩემპიონი გიორგი ყიზილაშვილი დაიცავენ ჩვენი ძიუდოს ღირსებას.

ხანჯალიაშვილი ბოლო დროს ტრავმებმა გატანჯა. მას თბილისის ტურნირზეც გაუმიზეზდა მტკივანი მუხლი. ახლა კი ყველაფერი რიგზეა და ორმეტრიანი გიგანტი ახალი ძალით შეუდგება პეკინისკენ მიმავალ გზას.

ყიზილაშვილს მძიმე წონაში არაერთხელ უცდია ბედი და ამჯერადაც იგივეს აპირებს.

პარიზული ვარჯიშების გამო ავსტრიაში ნაკრებთან ერთად ვერ იქნება შოთა ხაბარელი. ჩვენს ბიჭებს გურამ მოდებაძე და ბიძინა მოხევიშვილი დამოძღვრავენ.

**ზურაბ მიგრიაული**



# ანჩიჩმა ცონგა გაჩერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კაცები**
მარსელი. საფრანგეთი. ჰარდი
საპრიზო 534 000 ევრო

**პირველი წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (1, სერბეთი) — ივან დოდიჩი (ხორვატია) 6:1 6:4; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:7 7:5 7:6; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) 7:5 7:6; **რიშარ გასკე** (2, საფრანგეთი) — სიმონე ბოლელი (იტალია) 6:3 6:3

**მეორე წრე**

**ენდი მიურეი** (4, ბრიტანეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 3:6 7:6 6:1; **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (5, ესპანეთი) 5:7 6:4 7:6

**კაცები**
დელრეი ბიჩი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 436 000 დოლარი

**პირველი წრე**

**ჯეიმს ბლეიკი** (1, აშშ) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:5 7:5; **სალვადორ ნავარო** (ესპანეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:3; **სემ ქუერეი** (3, აშშ) — იური შუკინი (რუსეთი) 6:1 6:4; **ამირ დელიჩი** (აშშ) — დონალდ იანგი (აშშ) 7:6 6:3

**კაცები**
კოსტა დე საიუპე. ბრაზილია
თიხნარი
საპრიზო 485 000 დოლარი

**პირველი წრე**

**კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — ოლივიე პატიენსი (საფრანგეთი) 5:7 6:1 6:0; **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:3 2:6 6:4; **ფაბიო ფონინი** (იტალია) — ალბერტ მონტანესი (8, ესპანეთი) 7:5 6:3; **ივო მინარი** (ჩეხეთი) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 6:4 6:4

**ქალები**
ანტვერპენი. ბელგია
ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 600 000 დოლარი

**მეორე წრე**

**პატი შნიდერი** (4, შვეიცარია) — აი სუგიამა (იაპონია) 6:3 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა** (3, სლოვაკეთი) — იანინა ვიკმაიერი (ბელგია) 6:4 6:3; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — ალისა კლეიბანოვა (რუსეთი) 7:5 3:6 7:5



მარიო ანჩიჩი

მარსელის ტურნირი ნელ-ნელა ხურდება — კორტზე უკვე ყველა ბობოლას მოუწია გასვლა და რამდენიმე ხეირიანი ჯახიც ვიხილეთ. მეტიც, უკვე პირველ წრეში ერთიორი საკმაოდ დიდი მოულოდნელობაც აღინიშნა, რაც იმის წინაპირობაა, რომ ტურნირის დარჩენილი ნაწილიც საინტერესო გამოდგეს.

თავიდან სწორედ მოულოდნელობებით დავიწყოთ — ციდან მიწაზე დაახეთქეს ჟო-ვილფრედ ცონგა. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი და სეზონის სტარტის ერთ-ერთი გმირი გუშინ პირველად მიხვდა, რომ ფავორიტის სტატუსით თამაში არც ისე ადვილი საქმე ყოფილა. ასეთ დროს ხომ ნებისმიერი ჩოგბურთელი მთელი ძალით გეთამაშება, რაც ფრანგისთვის ჯერ უცხო ხილია. მაგრამ მოდით, აღვნიშნოთ, რომ ცონგას საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავდა მარიო ანჩიჩის სახით. მართალია, ხორვატს ტრავმების გამო ლამის მთელი გასული სეზონი გაუცდა, მაგრამ გუშინ ბალკანელმა დაგვანახვა, რომ ძველებურად ჩოგნაობს და წლეულს დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის ყველაფერზე წავა. ანჩიჩმა, რომელიც დღეისთვის რეიტინგში 135-ე საფეხურზეა, მართლაც დიდებულად ითამაშა და თავისი უძლიერესი მოწოდებებით უბრალოდ, სისხლი გაუშრო ფრანგს. ხორვატმა გადამწყვეტ მომენტებში მეტი ცივსისხლიანობა გამოიჩინა და დამსახურებულადაც იხეირა.

სამაგიეროდ, იმარჯვეს ტურნირის სხვა ფავორიტებმა — ნოვაკ ჯოკოვიჩმა და რიშარ გასკემ. ახალგაზრდა სერბს ავადმყოფობის, რომელმაც დევისის თასზე რუსეთთან თამაშის საშუალება თითქმის არ მისცა, არაფერი ეტყობოდა და ამიტომაც საათნახევარზე ნაკლები მოანდომა კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ხორვატ ივან დოდიჩის დამარცხებას. მეორე წრეში ნოვაკი მოქმედ ჩემპიონ ჟილ სიმონს დაეტაკება.

გასკემ კი მოულოდნელად ძლიერად ითამაშა საკუთარ მოწოდებაზე — 17-ჯერ ჩაუეისა სიმონე ბოლელის და იტალიელი სხვა კომპონენტებშიც აშკარად დაჩაგრა. ახლა ფრანგს შანსი აქვს, შარშან მეოთხედფინალში მარცხისთვის იძიოს შური რობინ სოდერლინგზე.

გაირკვა ორი მეოთხედფინალისტის ვინაობაც. ენდი მიურეის ძალიან გაუჭირდა სტანისლას ვავრინკას გატეხვა — შვეიცარიელს მოგებაც შეეძლო, მაგრამ ახალგაზრდა შოტლანდიელმა შეძლო მატჩის შემოტრიალება. ენდის ახლა მასპინძელ ნიკოლა მაჰუსთან მოუწევს დატაკება, რომელმაც ტურნირის კიდევ ერთი მოულოდნელობა შემოგვთავაზა და მეხუთე ნომერი ხუან-კარლოს ფერერო დაიფრინა.

პირველ წრეში მომხდარი რამდენიმე საინტერესო ამბის შემდეგ სიწყნარე იყო ბრაზილიურ კოსტა დე საიუპეში. ერთადერთი გამორჩევი ამბავი პირველ ნომრად განთესილი კარლოს მოიას გამარჯვებაა, რომელმაც ძალიან მძიმედ დაიწყო ოლივიე პატიენსთან შეხვედრა და პირველი სეტი წააგო კიდეც. თუმც 31 წლის ვეტერანი ამის შემდეგ თითქმის შეუცდომლად ათამაშდა და მომდევნო ორ პარტიაში ფრანგს მხოლოდ გეიმი აალებინა. მეოთხედფინალში მოიას თანამემამულე ოსკარ ერნანდესთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. ამ პირინეელმა თავის მხრივ სერხიო როიტმანი შეიწირა.

ამერიკულ დელრეი ბიჩში კი ბოლო ორი დღის მთავარი მოვლენა გამძვინვარებული სტიქიაა. წვიმის გამო იქ ბლომად შეხვედრები გადაიდო, რის გამოც პირველი წრე მხოლოდ გუშინ გამთენიისას დასრულდა. ჩვენ ჯეიმს ბლეიკის გამარჯვებაზე გეტყვით, რომელსაც რობერტ კენდრიკთან შეხვედრა სამ დღეზე გაეწელა და თანამემამულეს მხოლოდ გუშინღა მოუთავა საქმე.

ანტვერპენის ქალთა ტურნირზე ჯერაც არ გასულან კორტზე პირველ-მეორე ნომრები — ჟუსტინ ენინი და ანა ჩაკვეტაძე. სამაგიეროდ, თამაში მოუწია დანიელა ჰანტუხოვას, რომელიც თინეიჯერ მასპინძელ იანინა ვიკმაიერს ხვდებოდა და საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშის მიუხედავად, გვარიანი ოფლის ღვრა მოუწია. თუმც ამის მთავარი მიზეზი ბელგიელი მაყურებელია, რომელიც თავისიანს ყველანაირად უჭერდა მხარს, სლოვაკ ლამაზმანს კი თამაშში ხელს უშლიდა, რის გამოც მსაჯმა ტრიბუნებს რამდენჯერმე შენიშვნაც მისცა. ასეა თუ ისე, ჰანტუხოვამ ამ ზეწოლას წარმატებით გაართვა თავი და მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა.

**კახა ლომაშვილი**


# თქვენი ინტერვიუ

## ტიმ ლეინთან

**საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი**

*რუბრიკის რესპონდენტ ტიმ ლეინთან კითხვები 16 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ, ნაკრების ავსტრალიელ მწვრთნელთან ინტერვიუ კი მომდევნო კვირაში გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვენეციური კალათები

## საქართველოსთვის ყველა კენჭი ერთია




**16 თებერვალი. იტალია. ვენეცია**
**B დივიზიონის კენჭისყრის კალათები**

I შვედეთი, დანია რუმინეთი
II შვეიცარია, საქართველო, ჰოლანდია
III ბელარუსი, სლოვაკეთი, ისლანდია
IV ავსტრია, ირლანდია, კვიპროსი
V ალბანეთი, ლუქსემბურგი, ჩერნოგორია

**ხვალ** იტალიის წყალ-ქალაქ ვენეციაში დიდი საკალათბურთო ყეენობა გაიმართება. ფიბა მომავალი ევროპის ჩემპიონატებისა და რაგინდარა საკვალიფიკაციო ტურნირების კენჭისყრას მოაწყობს როგორც კაცთა, ასევე ქალთა ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებებისთვის. ჩვენი ყურადღება, რა თქმა უნდა, ქართული ნაკრებებისკენაა, რომელთაგან, არავის ეწყინება და, ეროვნული გუნდის ამბები იმსახურებს გამორჩეულ ინტერესს. მით უფრო, რომ ფიბამ კენჭისყრამდე 2 დღით ადრე ეროვნული გუნდები კალათებში განთესა.

არავის ჰქონია ილუზია, რომ საქართველოს ნაკრები პირველ კალათაში იქნებოდა. ამას პრინციპული მნიშვნელობა არასდროს ჰქონია ჩვენი კალათბურთელებისთვის. თუ გინდა, რომ A დივიზიონში აინაცვლო, ყველა მეტოქეს უნდა მოუგო— წაფორხილება რომ არ შეიძლება, ეს ქართველებმა არაერთხელ გამოსცადეს აქამდელ საკვალიფიკაციო ციკლებში.

სანამ კალათებში განაწილებულ გუნდებზე გიამბობდეთ, აღვნიშნოთ, რომ მომავალ, 2008-09 წლების საკვალიფიკაციო (B დივიზიონი) ციკლში უწინდელივით 3 ჯგუფი იქნება, თუმცა ამჯერად გუნდები თანაბრად განაწილდებიან: ყველა ჯგუფში 5-5 ნაკრები იქნება და A დივიზიონის საგზურისთვის პლეიოფში პირველზე გასულები ხომ ითამაშებენ და მათ მეოთხე გუნდად საუკეთესო მეორეადგილოსანი დაემატება.

მაშ ასე, საქართველო მეორე კალათაში მოხვდა ჰოლანდიასთან და შვეიცარიასთან ერთად, ხოლო უძლიერესთა კალათა რუმინეთმა, დანიამ და შვედეთმა შეადგინეს. ეს ორი უკანასკნელი გუნდი A დივიზიონიდანაა ჩამოქვეითებული, ხოლო მესამემ, რუმინეთმა, წინა საკვალიფიკაციოს A დივიზიონში გადასასვლელი ჯახი ჩვენების არაერთხელ მძლეველ ფინეთთან დათმო.

რუმინეთი ქართველებს ბოლო წლებში ორჯერ გვყავს დამარცხებული ამხანაგურ მატჩებში, ხოლო დანია ჩვენებმა გასულ ზაფხულს, ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე გაანადგურეს. ერთი სიტყვით, პირველ კალათაში ქართველებისთვის განსაკუთრებულად სახიფათო არც ერთი ნაკრები არ არის.

საკვალიფიკაციო ტურნირი 2008 წლის 6 სექტემბერს დაიწყება და პირველი წრის მომდევნო ტურები 10, 13, 17 და 20 სექტემბერს გაიმართება. მეორე წრე კი 2009 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარდება.

**ირაკლი პერტაია**

---



# ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლეს

## ენდეე? ენდე! ასტანამ ნდობა დაკარგა




ალბერტო კონტადორი

**„ტურ დე ფრანსის“** შარშანდელი გამარჯვებული, ესპანელი ალბერტო კონტადორი ალბათ იმ დღეს სწყევლის, როდესაც ყაზახური „ასტანას“ წინადადებას დათანხმდა და ამ გუნდთან კონტრაქტი გააფორმა. მეორე მხრივ, კონტადორს არც გაემტყუნება — მისი ყოფილი გუნდი, ამერიკული „დისქავერი“ ველოსპორტის რუკიდან გაქრა და ესპანელიც იქით წავიდა, საითაც მისი დისქავერელი მენეჯერი იოჰან ბრიუნელი.

ბრიუნელი ამბიციური კაცია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით გახდა ლენს არმსტრონგი „ტურის“ შვიდგზის ჩემპიონი და როდესაც „დისქავერი“ უკვალოდ წაიშალა, ლეგენდარული მენეჯერი უმალ დათანხმდა ფულიანი ყაზახების წინადადებას, „ასტანაში“ წავიდა და თან თავისი ორი საუკეთესო მრბოლი, კონტადორი და ამერიკელი ლევი ლეიფჰეიმერი წაიყვანა.

არადა, „ასტანა“ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე იმიჯშელახული გუნდია, რომელიც მუდმივად სადოპინგო სკანდალებშია გახვეული. 2006 წელს ყაზახები „ტურ დე ფრანსზე“ არ დაუშვეს, შარშანდელ „ტურზე“ კი „ასტანას“, ერთბაშად ორი ლიდერი ჩავარდა დოპინგზე — ალექსანდრ ვინოკუროვი და ანდრეი კაშეჩკინი, რის შემდეგაც გუნდმა ფრანგული სუპერრბოლა მიატოვა.

ყაზახებმა ამერიკული სისხლით მოინდომეს თავიანთი დაბინძურებული ორგანიზმის გაწმენდა და დიდი ველორბოლების ორგანიზატორებთან დიდ-დიდი უსტარები დააგზავნეს, აქაოდა, გუნდში ახალი მენეჯერია, ახალი, უმწიკვლო მრბოლებიც გვყავს და ხელი არ გვკრათ, თქვენ მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებში მიგვიწვიეთო.

არ გაჭრა ყაზახების თხოვნამ. „ასტანას“ ჯერ სეზონის პირველი სუპერრბოლის, „ჯირო დიტალიას“ ორგანიზატორებმა უთხრეს უარი რეგისტრაციაზე და ოთხშაბათ საღამოს კი გაცილებით დიდი აფეთქების ხმა გაისმა — „ტურ დე ფრანსის“ დირექტორმა კრისტიან პრიუდომმა ოფიციალურად განაცხადა, რომ „ასტანა“ წლევანდელ „ტურზე“ მონაწილეობას არ მიიღებს, ანუ სეზონის უმთავრესი რბოლა ზედიზედ მესამედ დარჩება მოქმედი ჩემპიონის გარეშე — 2005 წელს თავისი ზედიზედ მეშვიდე ტრიუმფის შემდეგ, ლენს არმსტრონგი ველოსპორტიდან წავიდა და მომდევნო „ტურზე“ აღარ გასულა; 2006 წლის „დიდი მარყუჟის“ გამარჯვებული ფლოიდ ლენდისი ეგრევე სადოპინგო სკანდალში გაეხვია და მომდევნო რბოლას ვინ ჩივის, საერთოდ, უტიტულოდ დარჩა და აი, ახლა ვერც კონტადორი შეძლებს შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვას.

მოკლედ, ისე გამოვიდა, ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლესო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საამისოდ ამ „ბავშვმაც“ გვარიანად მოიწადინა.

„ასტანას“ ახალი მენეჯერი ჰყავს, იოჰან ბრიუნელი; ყაზახური გუნდის ხელმძღვანელებმა არაერთხელ გვთხოვეს, რომ მათი ნდობა გვქონოდა, მაგრამ კიდევ ერთი შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს. გაიხსენეთ, რა მოხდა 2006 წელს. მომდევნო წელს იგივე განმეორდა. მაშინაც ნდობაზე იყო ლაპარაკი. ჩვენ ვენდეთ, დავთანხმდით და შემდეგ ამის გამო გვარიანად ვიზარალეთ. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს“ — ბრძანა პრიუდომმა და ყაზახებს მინიმუმ ერთი წლით მიუკეტა „დიდი მარყუჟის“ კარი.

„ასტანასა“ და კონტადორის უბედურება კი არც ამით ამოიწურა. არათუ „ჯირო“ და „ტური“, ყაზახურმა გუნდმა წლეულს ყველა ის რბოლა უნდა დაივიწყოს, რომლებიც Amaury sport organisation-ის ეგიდით ტარდება. ასეთთა შორისაა პოპულარული „პარიზი-ნიცაც“, რომელიც, სხვათა შორის, შარშან ასევე კონტადორის გამარჯვებით დასრულდა.

---



## რეგულარული ჩემპიონატი

13 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 3:2 ოტავა**
*0:1 2:1 0:0 1:0 (ოვერტაიმში)*
0:1 რიჩარდსონი (6), 1:1 ლანგენბრუნერი (27), 2:1 რახუნეკი (29), 2:2 რობიტაილი (36), 3:2 ჯიონტა (63).

**ატლანტა 3:2 ვაშინგტონი**
*0:0 2:1 0:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*
0:1 კოზლოვი (23), 1:1 პერინი (37), 2:1 ჰოსა (40), 2:2 ოვეჩკინი (59)

**კოლუმბუსი 2:7 ჩიკაგო**
*0:4 2:2 0:1*
0:1 კეინი (4), 0:2 სებრუკი (6), 0:3 ბაიფულენი (15), 0:4 ბაიფულენი (18), 1:4 ტერნსტრომი (22), 1:5 ჰავლატი (28), 2:5 მოდინი (35), 2:6 ვიშნევსკი (36), 2:7 ლანგი (60)

**ბუფალო 1:0 ტორონტო**
*0:0 0:0 1:0*
1:0 ჰოსტადი (49)

**პიტსბურგი 1:2 ბოსტონი**
*0:2 0:0 1:0*
0:1 ნოკელაინენი (13), 0:2 სობოტკა (15), 1:2 მალკინი (54)

**ფლორიდა 1:2 მონრეალი**
*1:0 0:0 0:1 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 მონტადორი (13), 1:1 ჰიგინსი (33), 1:2 კოვალიოვი (62)



მონრეალელმა კერი პრაისმა ფლორიდელ ნათან ჰორტონს არ გაატანინა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# HEAD & SHOULDERS
## ჯინობილიმ ლებრონს თმა გააცვენინა



11-დან 8 სამქულიანი, 9-დან 7 ორქულიანი, 9-დან 8 საჯარიმო: სულ 46 ქულა, ზედაც 8 პასი, 5 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება

**კლივლენდი 105:112 სან ანტონიო**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (39 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ჰიუზი (26)

**სან ანტონიო:** ჯინობილი (46), დანკანი (23 ქულა, 13 მოხსნა)

მანუ ჯინობილის 3-4 კვირის წინ რომ ეკეთებინა ასეთი ჯადოქრობები, დასავლეთის რჩეულ ვარსკვლავებს კატრინასგან დანგრეულ და ხელახლა აღშენებულ ნიუ ორლეანში წაჰყვებოდა და თავის მეორე ოლ სტარში გაშლიდა ფრთებს. ამ უქმეებზე კი, როცა ნბა ოლ სტარის გამო რამდენიმე დღით ისვენებს, არგენტინელი ნაცვლად ნიუ ორლეანისა, ლას ვეგასისკენ გასწევს, ითამაშებს რულეტს, წააგებს ცოტაოდენ ფულს, ან იქნებ მოიგოს კიდეც და თუ ძალიან ცუდ ხასიათზე არ იქნა, კვირას ტელევიზორში უყურებს აღმოსავლელ და დასავლელ ვარსკვლავთა შოუ-მატჩს.

მის გუნდს უძნელესი გასვლითი ტურნე ჰქონდა — ყოველ წელიწადს ამ დროს სან ანტონიოში როდეო იმართება და ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში თავიდან რომ აირიდოს, „სფურზი" ნბა-ს კალენდარში იძულებით ასმევინებს ზედიზედ 8-9 თამაშიან გასვლით სერიას.

მოკლედ, „სან ანტონიოს" ყოველწლიური ასეთი გასვლა ჰქონდა და პირველივე მატჩში დაიმტვრა გუნდის გამთამაშებელი და 2007 წლის პლეი ოფის ფინალის უძვირფასესი მოთამაშე ტონი პარკერი. ტეხასელთა თავკაცი გრეგ პოპოვიჩი იძულებული გახდა, გადაბერებული დეიმონ სტუდემაიერი მიეყვანა გუნდში, რომელმაც ბევრიც ვერაფერი ქნა, მაგრამ სამაგიეროდ, ტიმ დანკანმა ითამაშა გადასარევად, მანუ ჯინობილიმ კი ამ სერიაში საშუალოდ 24,7 ქულა აგროვა და „სან ანტონიომაც" ტურნე 6 მოგებით და 3 წაგებით დაასრულა.

„სფურზის" არგენტინელმა მსროლელმა განსაკუთრებით ბოლო ორი თამაშში ინავარდა — ტორონტოში 34 ქულა, 15 მოხსნა (კარიერის რეკორდი) და 6 პასი დააგროვა, კლივლენდში კი მთლად კოცონი დაანთო მოედანზე და ლებრონ ჯეიმსის „კავალიერზს" შარშანდელი ფინალის რემატჩში 46 ქულა, 8 პასი, 5 მოხსნა და 3 ჩაჭრა დაატეხა თავს.

„ბედნიერი ვარ, ის რომ ჩემს გუნდში თამაშობს" — ამბობდა ნამატჩევს ტიმ დანკანი.

„მანუ მანუა, ის ერთ-ერთი ყველაზე თავგადადებული მებრძოლია მათგან, ვინც მე შემხვედრია. ამის გამო აქვს მას ნბა-ს ჩემპიონის, ოლიმპიური ჩემპიონისა და კიდევ სხვა ევროპული ტიტულები" — თქვა გრეგ პოპოვიჩმა.

ოთხშაბათ საღამოს ჯინობილიმ 8 სამქულიანი ჩაუგდო „კლივლენდ კავალიერზს" და გადაჭედილ დარბაზში მისივე ქომაგების თვალწინ კიდევ ერთხელ უტყვად უთხრა ლებრონს — მაგარი კი ხარ, მაგრამ ჯერ მოსწავლე ხარო. „სან ანტონიო" ბოლო მეოთხედის წინ ოთხი ქულით აგებდა.

განახლდა მატჩი და რამდენიმე წუთში მანუც გადაირია. მანამდე მას 4 სამქულიანი ჩაეგდო და ყულაბაში 28 ქულა უჩხრიალებდა. ბოლო მეოთხედში ამას კიდევ 4 სამქულიანი და 18 ქულა დაამატა და ჩააჩუმა ოციათასიანი კლივლენდური აუდიტორია. ვერ გეტყვით, რას ფიქრობდნენ მისი შემყურე მაყურებლები, მაგრამ მათ ალბათ საბოლოოდ შეიძულეს „მკვლელი" არგენტინელი. დამარცხებულთა მწვრთნელმა მაიკ ბრაუნმა ჯინობილის ცუდი ბიჭი უწოდა.

დალვრემილი იყო ლებრონ-ძლეულიც — სულ ტყუილად გააკეთა 39 ქულა, 9 პასი და 6 მოხსნა. ნამატჩევ კომენტარებში ჯინობილი ხომ შეაქო და იმის აღიარებაც მოუხდა, „სფურზი" ალალად ჩვენზე ძლიერიაო — „დღეს ჩვენ უკეთესმა გუნდმა დაგვამარცხა. ჩვენს მოწინააღმდეგეს უკეთესი თავი და მხრები (head and shoulders) ჰქონდა."

13 თებერვალი

**შარლოტი 100:98 ატლანტა**

ძირითადი დრო 92:92

**შარლოტი:** ფელტონი (22), ოკაფორი (20 ქულა, 21 მოხსნა, 5 დაფარება), რიჩარდსონი (19)

**ატლანტა:** ე. ჯონსონი (6), ჯ. ჯონსონი (23), მ. უილიამსი (14), სმიტი (4), პორფორდი (12 ქულა, 14 მოხსნა); ლუ (19), ლოუ (19), შ. უილიამსი (4), რაიტი (2), ფაჩულია (4 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა), ვესტი

**დალასი 96:76 პორტლენდი**

**დალასი:** ნოვიცკი (37 ქულა, 12 მოხსნა), ტერი (24)

**პორტლენდი:** როი (25)

**დეტროიტი 96:80 ინდიანა**

**დეტროიტი:** პრინსი (14), ბილაფსი (14)

**ინდიანა:** დიოგუ (14)

**მინესოტა 92:117 ლეიკერსი**

**მინესოტა:** ჯეფერსონი (19), ფოი (18)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (29), გასოლი (19), ოდომი (10 ქულა, 16 მოხსნა, 10 პასი)

**ჰიუსტონი 89:87 საკრამენტო**

**ჰიუსტონი:** მინი (25 ქულა, 14 მოხსნა), ალსტონი (23), ბეტიე (15)

**საკრამენტო:** არტესტი (30)

**გოლდენ სტეიტი 120:118 ფინიქსი**

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (37), დევისი (27 ქულა, 13 მოხსნა), ჰარინგტონი (19)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (29 ქულა, 13 მოხსნა), ჰილი (26 ქულა, (15 მოხსნა) ბარბოსა (24), ნეში (20 ქულა, 12 პასი)

**ორლანდო 109:98 დენვერი**

**ორლანდო:** ლუისი (25), ჰოვარდი (23 ქულა, 24 მოხსნა), თურქოღლუ (18), კუკი (18)

**დენვერი:** ენტონი (32), აივერსონი (21)

**ფილადელფია 104:88 მემფისი**

**ფილადელფია:** იგუდალა (29)

**მემფისი:** უორკი (23), გაი (23)

**ტორონტო 109:91 ნიუ ჯერსი**

**ტორონტო:** ბოში (27), კალდერონი (22)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (15), ჯეფერსონი (15)

**ბოსტონი 111:103 ნიუ იორკი**

**ბოსტონი:** პირსი (24), ალენი (21)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (26)

**მილუოკი 107:111 ნიუ ორლეანი**

**მილუოკი:** რედი (30)

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (22), პოლი (21 ქულა, 10 პასი), სტოიაკოვიჩი (19)

**სიეტლი 93:112 იუტა**

**სიეტლი:** დურანტი (19)

**იუტა:** ბუზერი (22 ქულა, 11 მოხსნა, 10 პასი, 5 ჩაჭრა), ოქური (20 ქულა, 10 მოხსნა), უილიამსი (17 ქულა, 10 პასი)

**კლიპერსი 89:91 ვაშინგტონი**

**კლიპერსი:** ტორნტონი (24), მაგეტი (20)

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (29)

| აღმოსავლეთი | | | |
| --- | --- | --- | --- |
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 41 | 9 | 82,0 |
| ტორონტო | 28 | 23 | 54,9 |
| ნიუ ჯერსი | 23 | 30 | 43,4 |
| ფილადელფია | 23 | 30 | 43,4 |
| ნიუ იორკი | 15 | 37 | 28,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 39 | 13 | 75,0 |
| კლივლენდი | 29 | 23 | 55,8 |
| ინდიანა | 21 | 32 | 39,6 |
| ჩიკაგო | 20 | 31 | 39,2 |
| მილუოკი | 19 | 34 | 35,8 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 33 | 21 | 61,1 |
| ვაშინგტონი | 25 | 27 | 48,1 |
| ატლანტა | 21 | 28 | 42,9 |
| შარლოტი | 19 | 34 | 35,8 |
| მაიამი | 9 | 41 | 18,0 |

| დასავლეთი | | | |
| --- | --- | --- | --- |
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 36 | 15 | 70,6 |
| დალასი | 35 | 17 | 67,3 |
| სან ანტონიო | 34 | 17 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 32 | 20 | 61,5 |
| მემფისი | 14 | 38 | 26,9 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 34 | 19 | 64,2 |
| დენვერი | 32 | 20 | 61,5 |
| პორტლენდი | 28 | 24 | 53,8 |
| სიეტლი | 13 | 38 | 25,5 |
| მინესოტა | 10 | 41 | 19,6 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 36 | 16 | 69,2 |
| ლეიკერსი | 35 | 17 | 67,3 |
| გოლდენ სტეიტი | 32 | 20 | 61,5 |
| საკრამენტო | 23 | 28 | 45,1 |
| კლიპერსი | 17 | 33 | 34,0 |

## დევინ, არარაობა ხარ!

**„დალასსა"** და „ნიუ ჯერსის" შორის გაცვლის ჩამშლელ დევინ ჯორჯს მაყურებელთა რისხვა დაატყდა თავს. მისი „დალასი" შინ დაუხვდა „პორტლენდს" და 20 ქულითაც შემუსრა, მაგრამ, თითქოს იმ დარბაზში სხვა კალათბურთელი არ არსებობსო, ყველას მზერა და საჩვენებელი თითი ჯორჯისკენ იყო მიპყრობილი. დალასელები მას ენით თუ ტრანსპარანტებით აკრიტიკებდნენ და ამკობდნენ. „დალასის" ეშმაკმა მწვრთნელმა აივერსი ჯონსონმაც თითქოს წმინდა სპორტული მოსაზრებით დააყენა ის ძირითად ხუთეულში ტრავმირებული ჯოშ ჰოვარდის ადგილზე და მთელი 33 წუთი აწვალა, მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯი, რბილად რომ ვთქვათ, თამაშის იშტაზე ვერ იყო. ჯონსონი თითქოს მას უმტკიცებდა, როგორც კალათბურთელი არარაობა ხარო და ჯორჯის თამაშიც ამას მეტყველებს — 11 სროლიდან 11 აცილება და 0 ქულა.

სამაგიეროდ, გადასარევად გაისარჯა „დალასის" ლიდერი დირკ ნოვიცკი, რომელმაც სეზონში უბევრესი, 37 ქულა მიითვალა და დეკემბერ-იანვრის გუნდ-სასწაულ „პორტლენდს" ზედიზედ მეოთხე მარცხი შეამთხვია.

ტორონტოში დამარცხდა „ნიუ ჯერსი", რომელსაც ჯეისონ კიდი აკლდა. ეტყობა, კიდი ფიქრებით უკვე სხვა გუნდში იყო და „ნიუ ჯერსის" მაისურა არც ჩაუცვამს.

ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა". „ქორებს" ოვერტაიმში აჯობეს შარლოტელმა „ფოცხვერებმა", რომელთაც ლიდერი ჯერალდ ვოლესი კი მოისაკლისეს, მაგრამ სამაგიეროდ სხვათაგან მიიღეს ქულათა მოზრდილი ულუფები — ოკაფორმა 20 ქულას სულაც 21 მოხსნა მოაყოლა.

ფარზე ოკაფორზე მეტი ბრძოლა მოიგო ორლანდოელმა სუპერცენტრმა დუაიტ ჰოვარდმა, ვინც 23 ქულას 24 მოხსნა დაურთო, პირწმინდად დაჩაგრა ამ თამაშამდე ლიგის პირველი მომხსნელი მარკუს კემბი (8 მოხსნა) და პირველობაც ჩამოართვა.

კვლავ გადაიდო შაკილ ონილის დებიუტი „ფინიქსში". ამბობენ, დევშაკი ამ უქმეების, ანუ ოლ სტარის შემდეგ გამოვაო. ამასობაში კი „ფინიქსმა" ნბა-ს ორი რეაქტიული და მსწრაფლშემტევი გუნდის ერთობ თვალსასეირო ჯახში „გოლდენ სტეიტთან" ბოლო წუთზე წააგო. ფინიქსელთაგან ერთბაშად ოთხმა გააკეთა 20 და მეტი ქულა (სტუდემაიერი, ჰილი, ბარბოსა, ნეში), ხოლო ამათგან სამმა ორმაგი დუბლიც შეასრულა, მაგრამ არც მათი მეტოქეები ჭამდნენ პოპკორნს. მონტა ელისმა 37 ქულა უყელა სტივენშისიანებს, „გოლდენ სტეიტის" უოლსტაროდ (სრულიად უსამართლოდ) დარჩენილმა ლიდერმა ბაირონ დევისმა კი გადამწყვეტ ეპიზოდებში ზედიზედ სამი ბურთი ჩაუგდო „ფინიქსს".

გამარჯვებულთა თავკაცი დონ ნელსონი ნამატჩევს აღფრთოვანებას ვერ მალავდა — „რა თამაში იყო! ახლა შეგვიძლია, დავსხდეთ და მშვიდად ვუყუროთ ოლ სტარს, როგორც რიგითმა მაყურებლებმა."

**ძოტე ყორშია**



## კიდი კიდევ მოიცდის

**ჯეისონ კიდს** კიდევ გაურკვეველი ვადით მოუწევს „ნიუ ჯერსიში" ყურყუტი. ვეტერანი ვარსკვლავი დღეს-ხვალ „დალასში" უნდა გადაბარგებულიყო, ყველაფერი მოგვარებული იყო, მაგრამ...

გაცვლის პირობების თანახმად, „ნიუ ჯერსიდან" „დალასში" კიდთან ერთად მალიქ ალენი და ანტუან რაიტი გადადიოდნენ. ამ სამეულის სანაცვლოდ „დალასი" ხუთ მოთამაშეს — დევინ ჰარისს, ჯერი სტეკჰაუზს, დევინ ჯორჯს, დესაგანა დიოპსა და მორის აგერს იმლეოდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად შეატრიალა საქმე ტრეიდის მონაწილე ერთ-ერთმა მოთამაშე-ბალასტმა დევინ ჯორჯმა, რომელმაც ძლიერი „დალასიდან" დაფახფახებულ „ნიუ ჯერსიში" გადაბარგება არ ისურვა და პირად აგენტთან ერთად იმდენი მოახერხა, რომ ვაჭრობა ჩაშალა.

უკვე რამდენიმე წელია, კიდი სხვა გუნდში გაშვებას ითხოვს, რადგან 2002 და 2003 წლების ფინალებში წაგების შემდეგ მას აღარც მისცემია ჩემპიონობითვის ბრძოლის შანსი. ის კვლავაც საუცხოო ფორმაშია, ამ სეზონში საშუალოდ 11,3 ქულას, 8,1 მოხსნასა და 10,4 პასს აკეთებს და 51 თამაშში 12 სამმაგი დუბლი შეასრულა, მაგრამ 23 მარტს 35 წელი უსრულდება და კარიერის დაისზე კიდევ სურს ტიტულისთვის გაბრძოლება.

## ბატლერის ნაცვლად ალენი

**„ვაშინგტონის"** ფრთა კერონ ბატლერი ტრავმის გამო გამოტოვებს 17 თებერვალს ნიუ ორლეანში გასამართ ყველა ვარსკვლავის მატჩს. ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნის გადაწყვეტილებით, ბატლერს აღმოსავლეთის გუნდში „ბოსტონის" მსროლელი რეი ალენი შეცვლის, რომელიც თავის მეშვიდე ოლ სტარში მიიღებს მონაწილეობას.

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ვებერმა ხარით გაიხარა



მარკ ვებერი

**რა თქმა უნდა**, ტესტებზე ნაჩვენებ შედეგებს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, აქ ხომ გუნდები თავიანთი ბოლიდების დახვეწასა და სრულყოფაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე იმაზე, რომ კონკრეტულ დღეს სხვებზე სწრაფები იყვნენ. ანუ, ეს შედეგები მომავალი საპირველფორმულო სეზონისთვის აბსოლუტურ ორიენტირად ვერ გამოდგება, მაგრამ, მაინც...

ესპანურ ხერესში მიმდინარე მორიგი წინასასეზონო ტესტ-სესიის მესამე დღეს ყველაზე სწრაფი „რედ ბულის" ავსტრალიელი პილოტი მარკ ვებერი იყო და თანაც, მან თითქმის ნახევარი წამით აჯობა დანარჩენებს და იმავე ნახევარი წამით გააუმჯობესა წინა დღეს მაკლარენელი ლუის ჰემილტონის ნაჩვენები დრო. ვებერი საუკეთესო წრეზე წუთსა და 18,628 წამში ჩაეტია და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ „წითელი ხარები" წლეულს, მინიმუმ ქულათა ზონაში მოსახვედრად, სისტემატურად იბრძოლებენ. მეორე, დევიდ კულტჰარდის „რედ ბული" მხოლოდ მეშვიდე იყო, მაგრამ ვეტერან შოტლანდიელს დილის სესიისას კინაღამ ავარია შეემთხვა და თანაგუნდელთან 1,2 წამზე მეტით ჩამორჩენა, ალბათ, ამით იყო განპირობებული.

ჰემილტონი, რომელსაც ესპანელი ქომაგები, ბარსელონური ტესტებისგან განსხვავებით, საკმაოდ თბილად შეხვდნენ, ამ ჯერზე მხოლოდ მეექვსე იყო. ვებერის გარდა, მას „უილიამსის" პილოტებმა — ნიკო როსბერგმა (1.19,091), კაზუკი ნაკაჟიმამ (1.19,215), მასპინძელთა კერპმა, „რენოში" დაბრუნებულმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ (1.19,710) და „BMW-ზაუბერის" რობერტ კუბიცამ (1.19,829) აჯობეს.

ამათგან „უილიამსები" უნდა გამოვყოთ.. მას შემდეგ, რაც სეზონის პირველ ტესტებზე წინა ანტიფრთის გამო სერიოზული პრობლემები შეექმნათ და ერთი ხანობა საერთოდ სახლში გაბრუნდნენ, ინგლისელებმა აშკარად გააუმჯობესეს თავიანთი ახალი ბოლიდი. ხერესში, მესამე დღეს, როსბერგმა და ნაკაჟიმამ, ჯამში თითქმის 190 წრე დაარტყეს და თანაც ყოველგვარი პრობლემების გარეშე. რამდენიმე კვირის წინ სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, უახლოეს მომავალში ძველი, მოწინავე პოზიციები უნდა დავიბრუნოთო და ისეთი პირი უჩანს, ისინი სიტყვებს ჰაერში არ ისვრიან.

**ბახა ლომაძე**



# მამის გამლახავი შვილმა გალახოსო



ხულიო ცეზარ ჩავეს უმცროსი

**კვლავ** იმარჯვა ხულიო სეზარ ჩავეს-უმცროსმა — მსოფლიოს კრივის ლეგენდა ხულიო სეზარ ჩავესის უფროსმა შვილმა ამ უქმეებზე 26 წლის ამერიკელი პოლ სელაია ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. ასაკის მიუხედავად — იგი მხოლოდ 21 წლისაა — ჩავეს-უმცროსისთვის ეს უკვე 35-ე გამარჯვება გახლავთ პროფესიულ რინგზე.

ჩავესმა თავიდანვე მაგრად დაიწყო და სელაია უკვე მეორე რაუნდში დაანოკდაუნა — ცაციით გვერდულად იმდენად მძლავრად შემოჰკრა მეტოქეს, რომ ის მაშინვე ფიცარნაგზე გაიშხლართა. ამერიკელმა წამოდგომა მოახერხა და კარგა ხანი თანაბრადაც იჩხუბა. სელაია მუდმივად ცვლიდა ბრძოლის ტემპს, რითაც ახალგაზრდა მექსიკელს პრობლემებიც შეუქმნა, მაგრამ ჩავესმა მერვე რაუნდში კიდევ ერთხელ დაანოკდაუნა მეტოქე და მანაც ბრძოლა შეწყვიტა.

აქვე დავამატებთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, ჩავესმა ექვს სხვადასხვა წონაში ექსჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია გამოიწვია. სხვათა შორის, „ოქროს ბიჭს" ჩავეს-უფროსი ორჯერ დაუმარცხებია და, ეტყობა, უმცროს ჩავესს შურისძიების წყურვილი არ ასვენებს.

**ბახა ლომაშვილი**

# სოსამ ტიტული შეინარჩუნა

**პირველ** უმსუბუქეს წონაში WBC-ს ვერსიით ჩემპიონმა ედგარ სოსამ ტიტულის შენარჩუნება მოახერხა. 28 წლის მექსიკელმა ძალიან იოლად დაამარცხა თანამემამულე ხესუს ირიბე — მართალია, საქმე ნოკაუტამდე არ მისულა და მოკრივეებმა რინგზე 12-ვე რაუნდი გაატარეს, მაგრამ სოსას უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მსაჯებმა უყოყმანოდ მას მიანიჭეს გამარჯვება. სოსამ ეს ტიტული შარშან აპრილში მოიპოვა, როცა ბრაიან ვილირიო დაამარცხა და მას შემდეგ ეს ქამარი უკვე მეოთხედ დაიცვა. ისე კი მექსიკელმა უკვე 19-მატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხო — რაც 2003 წლის 13 სექტემბერს ულისეს სოლისთან დამარცხდა, მისი მომრევი აღარავინ გამოჩენილა.

**ბახა ლომაშვილი**



უელსის ღია პირველობა. ნიუპორტი. 11-17 თებერვალი



ჯად ტრამპი

# პატარა ტრამპისთვის ოსალივანი დიდი ტრამპლინია

### მეორე წრე

**ალისტერ კარტერი** (ინგლისი) — ტიან პენგფეი (ჩინეთი) 5:2; **რონი ოსალივანი** (ინგლისი) — ჯად ტრამპი (ინგლისი) 5:3; **ჯო პერი** (ინგლისი) — პიტერ ებდონი (ინგლისი) 5:1; **მარკ უილიამსი** (უელსი) — მარკო ფუ (ჰონკონგი) 5:4; **შონ მერფი** (ინგლისი) — აიან მაკალოჰი (ინგლისი) 5:3; **სტივენ ლი** (ინგლისი) — ენდრიუ ჰიგინსონი (ინგლისი) 5:1; **კენ დოჰერტი** (ირლანიდია) — ალან მაკმანუსი (შოტლანდია) 5:3; **დინ ჯუნხუ** (ჩინეთი) — მარკუს კემპბელი (შოტლანდია) 5:4

**17 წლის** იყო რონი ოსალივანი, როდესაც 1993 წელს თავისი პირველი სარეიტინგო ტურნირი, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს. ჩემპიონატი მოიგო. რონისნაირი დასაწყისი არავის ჰქონია, თვით მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ სტივ ჰენდრისაც კი, რომელიც ასევე 17 წლის ასაკში გამოჩნდა ელიტარულ ტურნირებზე და, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონატზე.

17 წლისას მსოფლიოს ჩემპიონატებზე, შარშანდლამდე მხოლოდ ჰენდრისა და ოსალივანს ეთამაშათ და შარშან ამ ლეგენდარულ ხალხს ნორჩი ინგლისელი ჯად ტრამპიც შეუამხანაგდა.

ტრამპი ჯერ ტიტულებს ვერ იგებს, მაგრამ უკვე კოჭებში ეტყობა, კარგა მოზრდილი ლლავი რომ იზრდება. ნიუპორტში მიმდინარე უელსის ღია ჩემპიონატის მესამე დღეს ჭაბუკი თანამემამულის ძალა თვით ოსალივანმაც იწვნია. არა, რონიმ მოიგო, მაგრამ საამისოდ გვარიანი ბრძოლის გადატანა დასჭირდა და მეტოქის წინააღმდეგობა მერვე ფრეიმშიღა გატეხა.

ყველაზე ახალგაზრდას შემდეგ ოსალივანი ყველაზე ასაკოვანს, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ სტივ დევისს შეხვდება და წარმატების შემთხვევაში, მეოთხედფინალში, სავარაუდოდ, უელსის მოქმედ ჩემპიონზე, ავსტრალიელ ნილ რობერტსონზე გავა, რომელმაც დევისის დარად, მერვედფინალს ტურნირის მეორე დღეს უწია.

მესამე დღეს კი ოსალივან-ტრამპის დაპირისპირების გარდა, კიდევ რვა შეხვედრა ჩატარდა, რომელთაგან ერთში გვარიანი სენსაცია გამოცხვა და ორში კი გამარჯვებულის ბედი მეცხრე ფრეიმშიღა გაირკვა.

სენსაციით დავიწყოთ — მსოფლიოს ექსჩემპიონი, ინგლისელი პიტერ ებდონი უიმედოდ, 1:5 დამარცხდა თავის თანამემამულე ჯო პერისთან, თანაც ამ უკანასკნელმა ერთბაშად ორი ასქულიანი ბრეიკი გააკეთა. კიდევ ერთი მოულოდნელობა ჩინელ დინ ჯუნხუსა და მსოფლიო რეიტინგში 52-ე საფეხურზე მყოფ შოტლანდიელ მარკუს კემპბელის მატჩში მწიფდებოდა. კემპბელმა ჯერ 90-ქულიანი სერია გააზერხა, შემდეგ, ჯერჯერობით ტურნირისთვის სარეკორდო, 134-ქულიანი ბრეიკი, 2:0 დაწინაურდა და მესამე პარტიაშიც ახლოს იყო გამარჯვებასთან. ეს ფრეიმი რომ მოეგო, ალბათ, მატჩსაც მოიგებდა, მაგრამ შეცდომა დაუშვა, შეხვედრა მეცხრე ფრეიმამდე გაგრძელდა და ბოლოს მაინც ჩინელმა ფავორიტმა იმარჯვა, ვისაც ახლა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონთან, შოტლანდიელ ჯონ ჰიგინსთან მოუწევს დაპირისპირება.

მასპინძლები კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მარკ უილიამსმა გაახარა. ბოლო ხანს უხეიროდ მოთამაშე და წინასწარ რეიტინგში 33-ე პოზიციაზე დაქვეითებული უილიამსი 2:4-ს აგებდა ჰონკონგელ მარკო ფუსთან, თუმცა ვეტერანმა ზედიზედ სამ ფრეიმში იმარჯვა, მათგან ერთში 114-ქულიანი ბრეიკით, მერვედფინალში გავიდა და იქ, ახლახან დასრულებული „მალტის თასის" გამარჯვებულს, შონ მერფის შეხვდება.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge